სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა

საზოგადოებრივი კვლევის ანგარიში
მომზადდა პროექტისთვის
„დისკრიმინაციის, სიძულვილით
მოტივირებული დანაშაულისა და
სიძულვილის ენის წინააღმდეგ
ბრძოლა საქართველოში“

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

კვლევა ჩატარდა CRRC საქართველოს მიერ
პროექტისთვის „დისკრიმინაციის,
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და
სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა
საქართველოში“
მასში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა
პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი,
ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ
მოსაზრებებს.

დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის
გამოცემისა თუ თარგმნის მოთხოვნით
უნდა მიმართოთ კომუნიკაციების
დირექტორატს (F-67075 Strasbourg
Cedex or publishing@coe.int)

ყდა და დაკაბადონება: BI ART

© ევროპის საბჭო, 2018 წლის ნოემბერი

CRRC-საქართველო
არის არასამთავრობო,
არაკომერციული კვლევითი
ცენტრი, რომელიც
აგროვებს, აანალიზებს
და აქვეყნებს მონაცემებს
ქვეყანაში მიმდინარე
პოლიტიკური და
სოციალური პროცესების
შესახებ. CRRC-
საქართველო სომხეთისა და
აზერბაიჯანის ცენტრებთან
ერთად ქმნის კვლევითი
ცენტრების ქსელს, რომლის
მიზანია საზოგადოებრივი
მეცნიერებების კვლევებისა
და საჯარო პოლიტიკის
ანალიზის განვითარება
სამხრეთ კავკასიაში.

სარჩევი

გამოსახულებების ჩამონათვალი 4

მოკლე შეჯამება 7

შესავალი 13

მეთოდოლოგია 15

- თვისებრივი კვლევის მეთოდები 17
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები 17

მრავალფეროვნება ქართულ საზოგადოებაში 19

- დამოკიდებულება უმცირესობის კონკრეტული ჯგუფების მიმართ 23

უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები 28

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბები ქართულ საზოგადოებაში და მათი გავლენა კონკრეტულ ჯგუფებზე 35

- რა პრობლემებს აწყდებიან ადამიანები? 35
- სიძულვილის ენის აღქმა 44
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღქმა 45
- უმცირესობების მიმართ მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობა 47

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობა 50

- დისკრიმინაცია 50
- სიძულვილის ენა 51
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული 54

სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები და მათი ეფექტურობა 56

დისკრიმინაციასთან ბრძოლაში ჩართული აქტორების მიმართ დამოკიდებულება 62

დასკვნები და რეკომენდაციები 65

გამოსახულებების ჩამონათვალი

გამოსახულება 1: თვისებრივი მონაცემების შეგროვება 15

გამოსახულება 2: როდესაც უმცირესობებზე ფიქრობთ საქართველოში, პირველად რომელი ჯგუფი გახსენდებათ? 19

გამოსახულება 3: უმცირესობების შესახებ ინფორმირებულობა ასაკის მიხედვით 20

გამოსახულება 4: მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა, თუ უარყოფითი? 21

გამოსახულება 5: რატომ არის მრავალფეროვნება დადებითი ან უარყოფითი მოვლენა 22

გამოსახულება 6: უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობების მისაღებობა 23

გამოსახულება 7: საქმიანი ურთიერთობების მისაღებობა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით 24

გამოსახულება 8: მაღალი ტოლერანტობის შესაძლო მაჩვენებელი ასაკის მიხედვით 25

გამოსახულება 9: ჩამოთვლილთაგან ვის არ ისურვებდით თქვენს მეზობლად? 26

გამოსახულება 10: მოსახლეობის აზრით, რა უფლებები აქვთ უმცირესობებს? 29

გამოსახულება 11: საქართველოს განვითარებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია უმცირესობების უფლებების დაცვა? 31

გამოსახულება 12: საზოგადოების აზრი იმ მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან 36

გამოსახულება 13: სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსაზრება იმ პრობლემების თაობაზე, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან 37

გამოსახულება 14: პრობლემები, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია რელიგიური უმცირესობებისთვის 38

გამოსახულება 15: სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა მოსაზრება რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ 39

გამოსახულება 16: პრობლემები, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია შშმ პირებისთვის 40

გამოსახულება 17: მოსახლეობის მოსაზრება ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ 41

გამოსახულება 18: განსხვავებული სქესის ადამიანების მოსაზრება ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ 42

გამოსახულება 19: მოსახლეობის მოსაზრება ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ 43

გამოსახულება 20: თქვენი აზრით, საქართველოში რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად? 44

გამოსახულება 21: მოსახლეობის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი ჯგუფების წინააღმდეგ გამოიყენება სიძულვილის ენა....45

გამოსახულება 22: ყველაზე ხშირად, რომელი ჯგუფის წარმომადგენლები ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები საქართველოში?....46

გამოსახულება 23: მოსახლეობის აზრით, რამდენად ხშირად ხდება სხვადასხვა ჯგუფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი?....47

გამოსახულება 24: ინფორმირებულობის დონე უმცირესობის ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით....49

გამოსახულება 25: ცნობიერების დონე ანტიდისკრიმინაციული კანონის შინაარსის შესახებ....51

გამოსახულება 26: ცნობიერების დონე სხვადასხვა ფორმის სიძულვილის ენის კანონიერებასთან დაკავშირებით....52

გამოსახულება 27: სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონე და ამ კანონმდებლობის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება....53

გამოსახულება 28: დამოკიდებულება და ცნობიერების დონე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით საქართველოში....54

გამოსახულება 29: ცნობიერება სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ....57

გამოსახულება 30: ცნობიერების დონე მედიის მიერ სიძულვილის ენის გავრცელების შემთხვევაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ....58

გამოსახულება 31: საქართველოში სახალხო დამცველის ოფისის როლის შესახებ ცოდნა და დამოკიდებულება....60

გამოსახულება 32: საიდან ისურვებდნენ ადამიანები მეტი ინფორმაციის მიღებას სახალხო დამცველის ოფისის შესახებ?....61

გამოსახულება 33: ნდობა ინსტიტუტების მიმართ....62

გამოსახულება 34: ინსტიტუტების მუშაობა დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით....63

მოკლე შეჯამება

დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში კვლავ პრობლემურ საკითხებად რჩება. ამას ადასტურებს უმცირესობების მიმართ, სავარაუდოდ, მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული შემთხვევები, მაგალითად: 2018 წლის ინციდენტი, რომლის დროსაც თბილისში მიგრანტები ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს, ასევე, 2013 წელს „ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ (IDAHO) აღსანიშნავად გამართული მცირემასშტაბიანი დემონსტრაციის საპასუხოდ მომხდარი არეულობა. გარდა ამისა, საყურადღებოა დისკრიმინაციით მოტივირებული შედარებით პატარა ინციდენტები, რომლებიც ყოველდღიურად ხდება. არსებული სიტუაციის შესაფასებლად „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა საქართველოში“ (CRRC-საქართველო) ჩაატარა საბაზისო კვლევა პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში”, რომელიც „დანიის სამეზობლო პროგრამის“ (DANEP) ფარგლებში ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

კვლევა მიზნად ისახავს **საზოგადოების აღქმისა და ინფორმირებულობის** შეფასებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება;
- უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები;
- დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბები ქართულ საზოგადოებაში და მათი გავლენა კონკრეტულ ჯგუფებზე;
- დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობა;
- სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და მათი ეფექტურობა;
- აღნიშნულ საკითხებზე სხვადასხვა აქტორის მუშაობა.

საზოგადოების მიერ ზემოაღნიშნული საკითხების აღქმის შესაფასებლად, CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა შერეული მეთოდების გამოყენებით. თვისებრივი მონაცემებისშესაგროვებლადკვლევაითვალისწინებდაჩაღრმავებულინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფისა და ეთნიკური ქართველების მონაწილეობით. რაც შეეხება რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას, ამ მიზნით, CRRC-საქართველომ ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა წარმომადგენლობითი კვლევა, რომლის მიღწეული შერჩევის ზომაც იყო 2205 რესპონდენტი, ხოლო საშუალო ცდომილების ზღვარი - 2.9%. შერჩევა მოიცავდა საქართველოს იმ ტერიტორიების წარმომადგენლობით სამიზნე ჯგუფებს, სადაც მოსახლეობის ძირითადი ენაა სომხური ან აზერბაიჯანული. კვლევა, ასევე, წარმომადგენლობითია ქვეყნის მასშტაბით.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკა გამოიყენება ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციის აღწერის მიზნით, ხოლო დასკვნითი სტატისტიკა ამოწმებს, თუ რამდენად განსხვავდება განწყობები სხვადასხვა ჯგუფს შორის. კვლევის ფარგლებში განხორციელდა ორი განსხვავებული ტიპის განწყობის შესწავლა დასკვნითი სტატისტიკის საფუძველზე. პირველ რიგში, დადგინდა, თუ რამდენად პოზიტიური ან ნეგატიურია საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული თემის მიმართ, ხოლო შემდეგ განისაზღვრა ის ჯგუფები, რომელთაც აქვთ

უფრო მეტად ამბივალენტური ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელი განწყობა ამავე თემის მიმართ. ანალიზის მეორე ფორმა გამოყენებული იყო პროექტის სამიზნე სტრატეგიისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ ტიპის ანალიზის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ შედარებით რთულია საზოგადოების იმ ნაწილის განწყობის შეცვლა, რომელსაც კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით მტკიცე მოსაზრებები გააჩნია. უფრო მეტიც, ისინი, შესაძლოა, შეეწინააღმდეგონ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას, მისი ხარისხის მიუხედავად, და კიდევ უფრო განიმტკიცონ მანამდე არსებული მოსაზრებები. ამ პროცესს „მოტივირებული მსჯელობის" პროცესი ეწოდება.[1] ამრიგად, განწყობების შეცვლისკენ მიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიზნობრივ ჯგუფს ის ადამიანები უნდა წარმოადგენდნენ, რომლებსაც ნაკლებად მტკიცე - ე.ი. ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრებები გააჩნიათ.

კვლევის შედეგების თანახმად, როგორც ქალ, ისე მამაკაც რესპონდენტებს ზოგადი წარმოდგენა აქვთ ქართულ საზოგადოებაში უმცირესობის შედარებით დიდი ზომის ჯგუფების არსებობაზე (მაგალითად, სომხები და აზერბაიჯანელები). თუმცა, კითხვაზე - „დაასახელეთ უმცირესობის ჯგუფი, რომელიც პირველი გახსენდებათ", რესპონდენტთა 37%-მა უპასუხა - „არ ვიცი" ან „არ მახსენდება". ამასთან, კვლევის მონაწილეთა 27%-მა განაცხადა, რომ მათ არაფერი სმენიათ ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ჯგუფის, ავარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მათი ათასობით წარმომადგენელი ცხოვრობს. აღნიშნული მეტყველებს, რომ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია აქვს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის პატარა ჯგუფებთან დაკავშირებით.

რესპონდენტთა მცირე უმრავლესობა (56%) ფიქრობს, რომ მრავალფეროვნება ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა, თუმცა, ნაკლებად პოზიტიურია დამოკიდებულება რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ შემთხვევაში მრავალფეროვნების მომხრეთა მაჩვენებელი 46%-ს უტოლდება. კითხვაზე, თუ რატომ არის მრავალფეროვნება პოზიტიური ან ნეგატიური, ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მრავალფეროვნება ქვეყანაზე უარყოფითად აისახება, ზოგადად, აცხადებენ, რომ იგი „კულტურასა და ტრადიციებს უქმნის საფრთხეს". იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პოზიტიურია მრავალფეროვნება, ქალებს, ეთნიკურ ქართველებს და ეთნიკურ სომხებს უფრო მეტად ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრება აქვთ.

უმცირესობებს შორის ყველაზე პოზიტიური განწყობა არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. შედარებით ნეგატიურია დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების, ევროპის გარეთ ქვეყნებიდან მიგრანტების და ლგბტ თემის მიმართ. ხუთი ადამიანიდან მხოლოდ ერთი უჭერს მხარს ჰომოსექსუალთან საქმიან ურთიერთობას. კავკასიის რეგიონიდან მიგრანტი ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული დამოკიდებულება ხვდება შშმ პირების მიმართ დადებით განწყობასა და ლგბტ ადამიანების მიმართ შედარებით უარყოფით განწყობას შორის.

ზოგადად, უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ ადამიანების განწყობის შესაბამისია იმის აღქმა, თუ ვინ შეიძლება უფრო მეტად გახდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლები ყველაზე ხშირად ლგბტ ადამიანები ხდებიან. ლგბტ თემის შემდეგ, ასევე მაღალი რისკის ქვეშ დგანან იეჰოვა მოწმეები და მიგრანტები ევროპის გარეთ ქვეყნებიდან. ამ ჯგუფებს მოსდევს ეთნიკური უმცირესობები კავკასიის რეგიონიდან და, ბოლოს, შშმ პირები.

ზოგადად, უმრავლესობის ჯგუფების მიერ უმცირესობათა პრობლემების აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება უმცირესობების აღქმისგან იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი აწყდებიან. მუსლიმებსა

1 იხ. Epley, Nicholas and T. Gilovich. (2016). "The Mechanics of Motivated Reasoning." Journal of Economic Perspectives. 30(3), გვ. 133-140.

(17%) და არამართლმადიდებელ ქრისტიანებთან შედარებით, ორჯერ მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი (44%) მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობები პრობლემებს არ უჩივიან (20%). ასევე, მამაკაცი რესპონდენტების 41%-ის აზრით, ქალები პრობლემებს არ აწყდებიან, თუმცა, ამ მოსაზრებას ქალი რესპონდენტების მხოლოდ 28% ეთანხმება. აღნიშნული მიუთითებს, რომ უმრავლესობის ჯგუფებს ხშირად არ აქვთ საკმარისად ნათელი წარმოდგენა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ თანამოქალაქეებს აწუხებთ. ეთნიკურ სომხებსა (10%) და ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე (12%) სამჯერ მეტი ეთნიკური ქართველი (29%) მიიჩნევს, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოში პრობლემებს არ უჩივიან. შესაბამისად, ცხადია, რომ უმრავლესობის ჯგუფებს უმცირესობების გამოწვევებზე არ აქვთ საკმარისი წარმოდგენა. ქალები ხაზგასმით მიუთითებენ ოჯახში ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებაზე, ხოლო რელიგიური უმცირესობები - სხვადასხვა პრობლემაზე, მათ შორის, სიძულვილის ენასა და შრომის ბაზარზე არსებულ დისკრიმინაციაზე.

ქვეყანაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს პრობლემად მიიჩნევს, დაახლოებით, სამიდან ერთი ადამიანი, ხოლო სიძულვილის ენას - ორიდან ერთი. უფროსი ასაკის ადამიანები (36+) და პირები, რომლებიც თბილისის გარეთ არსებულ ურბანულ დასახლებებში ცხოვრობენ, შედარებით ნაკლებად მიიჩნევენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში პრობლემურია. ქალები სხვებზე მეტად ფიქრობენ, რომ ქვეყანაში არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრობლემა, ხოლო სხვებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომლებიც აცხადებენ, რომ ქვეყანაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა პრობლემური საკითხებია. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრობლემად აღქმის მაჩვენებელი თანაბარია რელიგიურ უმცირესობებსა და მართლმადიდებელ ქართველებს შორის.

უმცირესობების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული ფართომასშტაბიანი ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი საშუალოა. სამიდან ორ ადამიანს ჰქონდა ინფორმაცია 2018 წელს თბილისში მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომლის დროსაც მიგრანტთა ჯგუფი ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს. დაახლოებით იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს IDAHO-სთან დაკავშირებით მომხდარ არეულობასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნახევარს (56%) სმენია 2014 წელს ქობულეთში მომხდარი შემთხვევის შესახებ, როდესაც ადგილობრივებმა მადრასას კარზე ღორის თავი მიაჯედეს, ხოლო 39%-მა იცოდა, რომ 2014 წელს ტრანსგენდერი ქალი მოკლეს და საკუთარ ბინაში დაწვეს. საზოგადოების იმ ნაწილის უმრავლესობას, რომელსაც აღნიშნული ინციდენტების შესახებ აქვს ინფორმაცია, სჯერა, რომ ბოლო სამი ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, ხოლო 2018 წელს ფეხბურთის მოედანზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით რესპონდენტთა აზრი იყოფა.

საზოგადოებას ზოგადი წარმოდგენა აქვს უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ, თუმცა, ისინი პოლიტიკური უფლებების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი. ჩამოთვლილი 14 უფლებიდან რესპონდენტები საშუალოდ 10 უფლებას აღიარებდნენ. 92% ცნობს უმცირესობების განათლების ხელმისაწვდომობის უფლებას, ხოლო 47% - მათ მიერ საპროტესტო აქციის გამართვის უფლებას. ზოგადად, გამოკითხვაში მონაწილე პირებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია უმცირესობების (თუმცა, არა ლგბტ ადამიანების) უფლებების დაცვა. იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, ნაკლებია იმ პირების რაოდენობაზე, ვინც ამ აზრს არ ეთანხმება. ზოგადად, უმცირესობების, უფრო კონკრეტულად კი, ლგბტ თემის უფლებების დაცვის მიმართ ქალების, სომეხი ეროვნების და სოფლად მცხოვრები რესპონდენტების დამოკიდებულება შედარებით ამბივალენტურია.

კვლევაში მონაწილე ადამიანები საშუალოდ ინფორმირებულნი არიან

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობის შესახებ. მაგალითად, საქართველოში ხუთიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იცნობს 2014 წელს მიღებულ კანონმდებლობას ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. მონაცემებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ადამიანები მხარს უჭერენ სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვას მედიისა და პოლიტიკოსების მხრიდან. თუმცა, მათი აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა აწესებდეს კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩვეულებრივ მოქალაქეებზე.

რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის არსებულ მექანიზმებს, ზოგადად, მოსახლეობის ნახევარმა იცის, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ან სიძულვილის ენის მსხვერპლს შეუძლია, მიმართოს პოლიციას, სასამართლოს და სახალხო დამცველის აპარატს. იმავდროულად, რეალურად, ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს აღნიშნულ ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ თავად გახდა დანაშაულის მსხვერპლი. ათიდან ერთი ადამიანი (9%) აცხადებს, რომ მათ წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში არც ერთ დაწესებულებას არ მიმართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, პოლიცია საზოგადოების ნდობით სარგებლობს და მიიჩნევა, რომ ის მაღალ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობებს, თვისებრივი მონაცემების მოსაპოვებლად ჩატარებული ზოგიერთი ინტერვიუს დროს გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა. ბოშათა საკითხების ექსპერტმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბოშების თემს პოლიციის მიმართ ნაკლები ნდობა აქვს, რის გამოც ისინი საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცველებს არ მიმართავენ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას რესპონდენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ზოგიერთი ლგბტ ადამიანის, განსაკუთრებით, ტრანსგენდერების იმ პრეტენზიების ლეგიტიმურობა, რომლებიც მათ წინააღმდეგ დისკრიმინაციას ან დანაშაულის ჩადენას უკავშირდება. ლგბტ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს კი ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ხშირად სერიოზულად არ ეკიდებიან მათ საჩივრებს შევიწროების თაობაზე.

იმ დაწესებულებებს შორის, რომელთა შესახებაც რესპონდენტებმა კვლევის ფარგლებში საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს, ყველაზე ნაკლებ ნდობას იმსახურებს პროკურატურა, რომელიც, მათი აზრით, საკუთარ მოვალეობებს სათანადო დონეზე ვერ ასრულებს. ამის საპირისპიროდ, პროკურორებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი, ერთი შეხედვით, კარგად არიან ინფორმირებულნი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი პროკურორები უშუალოდ არ მუშაობდნენ იმ საქმეებზე, რომლებიც პირდაპირ ამ დანაშაულებს შეეხება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ნდობის ნაკლებობა ხელს უშლის საგამოძიებო საქმიანობას.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ევროპის საბჭო და სახალხო დამცველის აპარატი მეტ-ნაკლებად ნდობით სარგებლობენ. რესპონდენტთა აზრით, აღნიშნული ორგანიზაციები დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით, სხვა დაწესებულებებზე ეფექტურად მუშაობენ. იმავდროულად, უფრო ნაკლებია ნდობა სასამართლოებისა და პროკურატურის მიმართ და მიიჩნევა, რომ, სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, ისინი საკუთარ მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებენ. საქართველოში დაახლოებით ოთხი ადამიანიდან ერთი ინფორმირებულია კამპანიის - „არა სიძულვილს“ - შესახებ. მათ უმეტესობას ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხი აქვს.

ზემოაღნიშნულ მიგნებებზე დაყრდნობით, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები იმ აქტორებისთვის, რომლებიც დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის აღკვეთის მიმართულებით მუშაობენ.

პირველ რიგში, კვლევა ცხადყოფს, რომ რაც უფრო მეტად არიან ადამიანები ინფორმირებულნი უმცირესობების უფლებებსა და იმ ინციდენტებზე, რომლებიც

ბევრს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად მიაჩნია, მით უფრო ტოლერანტულად არიან ისინი განწყობილნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერების ამაღლების აქტივობები, სავარაუდოდ, ტოლერანტობის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. თუმცა, აღნიშნულ მიგნებას სიფრთხილით მიდგომა სჭირდება, რადგან, ზოგადად, ადამიანებს, რომლებიც სხვებზე მეტად არიან ინფორმირებულნი, ტოლერანტობისკენ მეტი მიდრეკილება ახასიათებთ, ვიდრე ადამიანებს, რომელთაც აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო გულმოდგინებით განხორციელებული საკომუნიკაციო კამპანიები და ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული აქტივობები საზოგადოებაში ტოლერანტობის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ზემოაღნიშნულ ნაბიჯებს არაერთმა ადამიანმა გაუწია რეკომენდაცია თვისებრივი ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების დროს.

მეორე, **კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ინფორმირებულობის დონე ყველაზე მეტად მაღალია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. იმავდროულად, ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული განწყობები ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ არსებულზე უარესია.** ამრიგად, რეკომენდირებულია აღნიშნული შეუსაბამობის მიმართულებით მუშაობა და იმის ჩვენება, თუ რატომ არის ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი. ამასთან, ლგბტ ადამიანების შესახებ გზავნილი სიფრთხილით უნდა იყოს შემუშავებული. ფოკუსჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების შედეგების თანახმად, ადამიანები მიიჩნევენ, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებს საკუთარი უფლებების დასაცავად საპროტესტო აქციების გამართვაში ფულს უხდიან, ხოლო საქართველოში ლგბტ პირთა უფლებების დღის წესრიგის უკან დასავლური ორგანიზაციები დგანან. ამრიგად, **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი აქტორების ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლგბტ უფლებების დაცვას ქართულ საზოგადოებას საგარეო აქტორები ახვევენ თავს.**

მესამე, ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებულ ტენდენციას - **იმას, რომ ადამიანები ლგბტ პირების მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი, თუმცა, იმავდროულად, აღიარებენ მათ მომეტებულ მოწყვლადობას** - უფრო ზოგადი სახე აქვს. კერძოდ, რაც უფრო უარყოფითია ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება, მით უფრო მეტად სჯერა ფართო საზოგადოებას, რომ ისინი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლები არიან. აღნიშნულის განზოგადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **უფრო მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს და, შესაბამისად, უფრო მეტი მხარდაჭერა გამოეცხადოს იმ ჯგუფებს, რომლებიც მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.** პირველ რიგში, ეს გულისხმობს ლგბტ თემს, შემდეგ - რელიგიურ უმცირესობებსა და მიგრანტებს. შშმ პირების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ გამოხატავს, თუმცა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ მათ სჯერათ, შშმ პირები არ არიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები. აღნიშნული ნათელს ხდის იმ პრობლემების წინ წამოწევის აუცილებლობას, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან.

მეოთხე, **ადამიანები ყველაზე ნაკლებად პოლიტიკური უფლებების შესახებ არიან ინფორმირებულნი.** საზოგადოების მხოლოდ 47% მიიჩნევს, რომ უმცირესობებს საპროტესტო აქციების გამართვის უფლება აქვთ, ხოლო თანამდებობაზე მათი არჩევის უფლებას მხოლოდ 53% აღიარებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ საჭიროა ცნობიერების ამაღლება უმცირესობების პოლიტიკური უფლებების შესახებ.

მეხუთე, საზოგადოების დაახლოებით ნახევარს (53%) არ აქვს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის შესახებ და მხოლოდ 35%-სთვის არის ცნობილი, რომ აპარატის მანდატი მოიცავს დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლას. ნათელია, რომ **სახალხო დამცველის აპარატმა უნდა იმუშაოს აპარატისა და მისი დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მანდატის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით.**

მეექვსე, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აშკარაა, რომ ადამიანები ეწინააღმდეგებიან პოლიტიკოსებისა და მედიასაშუალებების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას, თუმცა, იმავდროულად, მათი აზრები იყოფა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შედარებით ადვილი იქნება ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მედიასაშუალებებისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას კრძალავს. ამრიგად, რეკომენდირებულია, ყურადღება დაეთმოს უფრო ადვილად მიღწევად მიზანს - მედიასაშუალებებისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ კანონმდებლობის მიღებას. აღნიშნულის პარალელურად, უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით.

მეშვიდე, წინამდებარე კვლევით მოცული საკითხების მიმართ ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი განწყობა, ყველაზე მეტად, დაფიქსირდა ქალების, ეთნიკური სომხების, თბილისის გარეთ მაცხოვრებლების და, ზოგ შემთხვევაში, ეთნიკური ქართველების მხრიდან, რაც ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის კამპანიას ყველაზე მეტი გავლენა სწორედ მათზე ექნება. ამრიგად, რეკომენდირებულია აღნიშნულ ჯგუფებთან მუშაობა, რათა ძალისხმევა კონცენტრირდეს იმ ადგილზე, სადაც ცვლილების განხორციელების მეტი შესაძლებლობა არსებობს. ეს უზრუნველყოფს კამპანიის წინააღმდეგ უარყოფითი რეაქციისა და, შესაბამისად, არატოლერანტული განწყობების გამყარების თავიდან აცილებას.

მერვე, ინტერვიუების დროს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, პოლიციასა და პროკურატურას, ხოლო მეორე მხრივ, ბოშებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის ნაკლებობა. ამრიგად, **სავარაუდოდ, პოზიტიურ შედეგს გამოიღებს აქტივობა, რომელიც მიმართული იქნება სამართალდამცავებსა და ბოშების თემს შორის, ასევე, სამართალდამცავებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის გაზრდისკენ.**

შესავალი

დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში კვლავ პრობლემურ საკითხებად რჩება. ამას ადასტურებს უმცირესობების მიმართ, სავარაუდოდ, მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული შემთხვევები, მაგალითად: 2018 წლის ინციდენტი, რომლის დროსაც თბილისში მიგრანტები ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს, ასევე, 2013 წელს „ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ (IDAHO) აღსანიშნავად გამართული მცირემასშტაბიანი დემონსტრაციის საპასუხოდ მომხდარი არეულობა. გარდა ამისა, საყურადღებოა დისკრიმინაციით მოტივირებული შედარებით პატარა ინციდენტები, რომლებიც ყოველდღიურად ხდება. არსებული სიტუაციის შესაფასებლად „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა საქართველოში“ (CRRC-საქართველო) ჩაატარა საბაზისო კვლევა პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში”, რომელიც „დანიის სამეზობლო პროგრამის“ (DANEP) ფარგლებში ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

კვლევა მიზნად ისახავს **საზოგადოების აღქმისა და ინფორმირებულობის** შეფასებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება;
- უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები;
- დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბები ქართულ საზოგადოებაში და მათი გავლენა კონკრეტულ ჯგუფებზე;
- დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობა;
- სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და მათი ეფექტურობა;
- აღნიშნულ საკითხებზე სხვადასხვა აქტორის მუშაობა.

საზოგადოების მიერ ზემოაღნიშნული საკითხების აღქმის შესაფასებლად, CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა შერეული მეთოდების გამოყენებით. თვისებრივი მონაცემებისშესაგროვებლადკვლევაითვალისწინებდაჩაღრმავებულინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფისა და ეთნიკური ქართველების მონაწილეობით. რაც შეეხება რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას, ამ მიზნით, CRRC-საქართველომ ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა წარმომადგენლობითი კვლევა, რომლის მიღწეული შერჩევის ზომაც იყო 2205 რესპონდენტი, ხოლო საშუალო ცდომილების ზღვარი - 2.9%. შერჩევა მოიცავდა საქართველოს იმ ტერიტორიების წარმომადგენლობით სამიზნე ჯგუფებს, სადაც მოსახლეობის ძირითადი ენაა სომხური ან აზერბაიჯანული. კვლევა, ასევე, წარმომადგენლობითია ქვეყნის მასშტაბით.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკა გამოიყენება ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციის აღწერის მიზნით, ხოლო დასკვნითი სტატისტიკა ამოწმებს, თუ რამდენად განსხვავდება განწყობები სხვადასხვა ჯგუფს შორის. კვლევის ფარგლებში განხორციელდა ორი განსხვავებული ტიპის განწყობის შესწავლა დასკვნითი სტატისტიკის საფუძველზე. პირველ რიგში, დადგინდა, თუ

რამდენად პოზიტიური ან ნეგატიურია საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული თემის მიმართ, ხოლო შემდეგ განისაზღვრა ის ჯგუფები, რომელთაც აქვთ უფრო მეტად ამბივალენტური ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელი განწყობა ამავე თემის მიმართ. ანალიზის მეორე ფორმა გამოყენებული იყო პროექტის სამიზნე სტრატეგიისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ ტიპის ანალიზის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ შედარებით რთულია საზოგადოების იმ ნაწილის განწყობის შეცვლა, რომელსაც კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით მტკიცე მოსაზრებები გააჩნია. უფრო მეტიც, ისინი, შესაძლოა, შეეწინააღმდეგონ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას, მისი ხარისხის მიუხედავად, და კიდევ უფრო განიმტკიცონ მანამდე არსებული მოსაზრებები. ამ პროცესს „მოტივირებული მსჯელობის" პროცესი ეწოდება.[2] ამრიგად, განწყობების შეცვლისკენ მიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიზნობრივ ჯგუფს ის ადამიანები უნდა წარმოადგენდნენ, რომლებსაც ნაკლებად მტკიცე - ე.ი. ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრებები გააჩნიათ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ორგანიზებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ინფორმირებულობა და განწყობა ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების მიმართ; უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები; ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ და აღქმა იმისა, თუ კონკრეტულად ვისზე ახდენს აღნიშნული გავლენას; ინფორმირებულობა და აღქმა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შესახებ; სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები და მათი ეფექტურობა; სხვადასხვა აქტორის მიმართ განწყობა და ქვეყანაში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით ამ აქტორების მიერ გაწეული მუშაობის ეფექტურობის აღქმა. დასასრულ, ანგარიშში წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები, ხოლო დანართის სახით მოცემულია გამოკითხვის შედეგები, მათ შორის, გენდერისა და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები.

2 იხ. Epley, Nicholas and T. Gilovich. (2016). "The Mechanics of Motivated Reasoning." *Journal of Economic Perspectives.* 30(3), გვ. 133-140.

მეთოდოლოგია

CRRC-საქართველომ კვლევა ჩაატარა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც მოიცავდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. კვლევის დასაწყისში ჩატარდა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები, ხოლო შემდგომ - გამოკითხვა. კვლევის ბოლოს, მიღებული რაოდენობრივი მონაცემების უკეთ გასაანალიზებლად, კიდევ ერთხელ ჩატარდა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები. წინამდებარე ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდებს.

თვისებრივი კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში, CRRC-საქართველომ გამოკითხვამდე და გამოკითხვის შემდგომ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩაატარა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები. თვისებრივი მონაცემები გამოყენებული იყო რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის გასამდიდრებლად, გამოკითხვის დიზაინის შესაქმნელად და გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების პროცესში არსებული "სიცარიელეების" ამოსავსებად. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს ინფორმაციას თვისებრივი მონაცემების მოპოვების მეთოდების, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების, სამიზნე ჯგუფებისა და ინტერვიუების შინაარსის შესახებ. აქვე მითითებულია, თუ როდის მოხდა მონაცემების შეგროვება - გამოკითხვამდე თუ გამოკითხვის შემდგომ.

გამოსახულება 1: თვისებრივი მონაცემების შეგროვება

#	მონაცე-მების შეგროვების მეთოდი	ინსტრუმენტი	სამიზნე ჯგუფი	გამოკი-თხვამდე თუ გამოკი-თხვის შემდგომ	თემა
1	ჩაღრმავე-ბული ინტერვიუ	უმცირესობებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	ბოშები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ჩაღრმავე-ბული ინტერვიუ	უმცირესობებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	იეჰოვას მოწმეები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
2	ჩაღრმავე-ბული ინტერვიუ	სამართალდამცავი ორგანოების წარმომა-დგენლებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	პროკუ-რორები	გამოკი-თხვამდე	დამოკიდებულება და სამუშაო გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ჩაღრმავე-ბული ინტერვიუ	სამართალდამცავი ორგანოების წარმომა-დგენლებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	პოლიციე-ლები	გამოკი-თხვამდე	დამოკიდებულება და სამუშაო გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით

1	ჩაღრმავე-ბული ინტერვიუ	სამართალდამცავი ორგანოების წარმომად-გენლებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	შსს-ს თანამშრო-მლები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ფოკუსჯგუ-ფები	უმრავლესობის ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო	ეთნიკური ქართველები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ფოკუსჯგუ-ფები	უმცირესობის ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო	ეთნიკური სომხები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ფოკუსჯგუ-ფები	უმცირესობის ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო	ეთნიკური აზერბაიჯა-ნელები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ფოკუსჯგუ-ფები	უმცირესობის ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო	მუსლიმები	გამოკი-თხვამდე	ზოგადი დამოკიდებულება და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით
1	ფოკუსჯგუ-ფები	სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ განწყობის სახელმძღვანელო	ეთნიკურად ქართველი მამაკაცები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ
1	ფოკუსჯგუ-ფები	სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ განწყობის სახელმძღვანელო	ეთნიკურად ქართველი ქალები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ
1	ფოკუსჯგუ-ფები	სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ განწყობის სახელმძღვანელო	ეთნიკური სომხები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ
1	ფოკუსჯგუ-ფები	სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ განწყობის სახელმძღვანელო	ეთნიკური აზერბაი-ჯანელები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ
1	ფოკუსჯგუ-ფები	ლგბტ თემის შესახებ გზავნილების სახელმძღვანელო	ეთნიკურად ქართველი მამაკაცები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება ლგბტ ადამიანების მიმართ
1	ფოკუსჯგუ-ფები	ლგბტ თემის შესახებ გზავნილების სახელმძღვანელო	ეთნიკურად ქართველი ქალები	გამოკი-თხვის შემდგომ	დამოკიდებულება ლგბტ ადამიანების მიმართ
2	ჩაღრმა-ვებული ინტერვიუ	უმცირესობებთან ინტერვიუს სახელმძღვანელო	ბოშები	გამოკი-თხვის შემდგომ	ზოგადი განწყობა და გამოცდილება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები

პროექტის ფარგლებში CRRC-საქართველომ სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის გამოყენებით, ქვეყნის მასშტაბით, ჩაატარა წარმომადგენლობითი გამოკითხვა. შერჩევის ჩარჩოს საარჩევნო უბნების სია წარმოადგენდა. გამოკითხვა შედგებოდა ორი მაკროშრისგან: ეთნიკური ქართველები და ეთნიკური უმცირესობები. ეთნიკური უმცირესობების სტრატა (შრე) თანაბრად გაიყო ეთნიკური სომხებისა და ეთნიკური აზერბაიჯანელების კლასტერებად, შესაბამის ტერიტორიაზე სომხური ან აზერბაიჯანული მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით (მინიმუმ 40%). თავის მხრივ, აღნიშნული კლასტერები გაიყო ურბანულ და რეგიონულ კლასტერებად. ეთნიკური ქართველების სტრატა ჩამოყალიბდა შემდეგ ქვეჯგუფებად: თბილისი, სხვა ურბანული ტერიტორიები და რეგიონები. სხვა ურბანული ტერიტორიები და რეგიონები დაიყო გეოგრაფიულ კვადრატებად (ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი). მონაცემების დამუშავება მოხდა საველე სამუშაოების შემდეგ. გამოკითხვა 2018 წლის აგვისტოში ჩატარდა. კითხვარის შევსების მაჩვენებელი იყო 49%, შერჩევის ზომა - 2205, ხოლო გამოკითხვის ცდომილების ზღვარი - 2.9%.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკა გამოიყენება ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციის აღწერის მიზნით, ხოლო გამოყენებითი სტატისტიკა ამოწმებს, თუ რამდენად განსხვავდება განწყობები სხვადასხვა ჯგუფს შორის. ზოგადად, მრავალცვლადიანი ლოგისტიკით ან უმცირეს კვადრატთა რეგრესიით (OLS) დგინდება, სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული განსხვავებები მნიშვნელოვანია თუ კვლევაში დაშვებული შეცდომით არის განპირობებული. თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული, ანგარიშში გამოყენებულია საბაზისო დემოგრაფიული მოდელი, რომელიც აკონტროლებს შემდეგ ცვლადებს:

- ასაკობრივი ჯგუფი (18-25; 26-35; 36-45; 46-55; 56-65; 65+);
- სქესი (მამრობითი, მდედრობითი);
- რელიგიური უმცირესობის სტატუსი (რესპონდენტი აღიარებს რელიგიას, რომელიც მისი ეროვნების ადამიანებში დომინანტ რელიგიას არ წარმოადგენს); [3]
- ეთნიკური წარმომავლობა (სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი);
- უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხი);
- საცხოვრებელი ადგილის ტიპი (დედაქალაქი, სხვა ურბანული ტერიტორია, რეგიონი).

მნიშვნელოვანი განსხვავებები, მათ შორის სქესის მიხედვით, წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში.

რიგ შემთხვევაში შედგა ინდექსები იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად განსაზღვრავს გარკვეული ფაქტორები ზოგად დამოკიდებულებას, ნაცვლად დამოკიდებულებისა, რომელიც უმცირესობის ჯგუფის შესახებ კონკრეტულ კითხვებს უკავშირდება. მაგალითად, უმცირესობის უფლებების შესახებ კითხვების შემთხვევაში, ნაცვლად

3 საქართველოში, როგორც წესი, რელიგია და ეთნიკური წარმომავლობა ერთმანეთთან კავშირშია, რის გამოც რთულია, ერთმანეთისაგან სტატისტიკურად განვასხვაოთ რელიგიური უმცირესობისა და ეთნიკური უმცირესობის გამოცდილებები. მაგალითად, საქართველოში სომხების დიდი უმრავლესობა საკუთარ თავს სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრად მიიჩნევს, თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა 55-მა ეთნიკურმა სომეხმა განაცხადა, რომ ისინი რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევრები არიან. მსგავსი „შეუსაბამობები“ ასევე დაფიქსირდა კვლევის მონაწილე ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობის შემთხვევაში. წინამდებარე ანგარიშში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული, მონაცემთა გაანალიზების მიზნისთვის აღნიშნული „შეუსაბამობების" მქონე ადამიანები რელიგიურ უმცირესობებად იყვნენ მიჩნეულნი.

უმცირესობის თითოეული უფლების შესახებ კითხვაზე პასუხად მიღებული მონაცემების დამუშავებისა, ჩატარდა ანალიზი იმის დასადგენად, თუ რომელი გეოგრაფიული მახასიათებლები განსაზღვრავს კონკრეტული ჯგუფის მიერ შედარებით მეტი ან ნაკლები უფლების აღიარებას. ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, ფაქტორული ანალიზისა თუ ძირითადი კომპონენტების ანალიზის გამოყენების ნაცვლად, რომელიც ინდექსების შექმნის ან მონაცემების მოცულობის შემცირების ფართოდ გავრცელებულ მეთოდებს წარმოადგენს, შეიქმნა მარტივი ჯამური ინდექსები.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ორი შედეგის შემოწმება მოხდა იმავე კითხვით თუ ინდექსით. პირველ რიგში, რეგრესიის გამოყენებით დადგინდა, თუ ვის აქვს უფრო მეტად პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულება კონკრეტული თემის მიმართ (მაგალითად, მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი). რეგრესია ასევე გამოვიყენეთ იმის დასადგენად, თუ ვის აქვს ამბივალენტური ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება მოცემული თემის მიმართ. აღნიშნული ანალიზი ჩატარდა პროექტის სამიზნე სტრატეგიის გასამყარებლად, იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით რთულია საზოგადოების იმ ნაწილის განწყობის შეცვლა, რომელსაც კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით მტკიცე მოსაზრებები გააჩნია. უფრო მეტიც, მათ, შესაძლოა, „მოტივირებულ მსჯელობასაც“ მიმართონ - ე.ი. წარმოადგინონ იმ მოსმენილი ინფორმაციის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომლებიც მათ დამოკიდებულებებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიზნობრივ ჯგუფს უნდა წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომელთაც ნაკლებად მტკიცე - ე.ი. ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრებები გააჩნიათ.[4]

4 აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - Wason, Peter C. (1960), “On the failure to eliminate hypotheses in a conceptual task”, Quarterly Journal of Experimental Psychology, Psychology Press, 12 (3): 129–40, doi:10.1080/17470216008416717, ISSN 1747-0226
Edwards K. & Smith E. E. (1996). “A disconfirmation bias in the evaluation of arguments.” Journal of Personality and Social Psychology, 71, 5-24.
Westen, D.; Blagov, P. S.; Harenski, K.; Kilts, C.; Hamann, S. (2006). “Neural Bases of Motivated Reasoning: An fMRI Study of Emotional Constraints on Partisan Political Judgment in the 2004 U.S. Presidential Election”. Journal of Cognitive Neuroscience. 18 (11): 1947–1958.
Lewandowsky S.; U. K. H. Ecker; C. M. Seifert; N. Schwarz; J. Cook. (2012). “Misinformation and Its Correction: Continued Influence and Successful Debiasing”. Psychological Science in the Public Interest. 13(3) 106–131.

მრავალფეროვნება ქართულ საზოგადოებაში

ერაერთი პარამეტრის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების ჯგუფები საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოს მოქალაქეები სხვადასხვა რწმენის მიმდევრები არიან - იეჰოვას მოწმეებიდან და სალაფი მუსლიმებიდან დაწყებული, იეზიდის მიმდევრებით დამთავრებული. საკმაოდ დიდია ეთნიკური მრავალფეროვნებაც. კერძოდ, საქართველოში მაცხოვრებელი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებს შორის არიან უდიები, უკრაინელები, პონტოელი ბერძნები და ა.შ. საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ლინგვისტურ მრავალფეროვნებაზეც აისახება: ქვეყანაში საუბრობენ როგორც სომხურად, ისე აზერბაიჯანულად, ავარულად, აფხაზურად და ა.შ.

აშკარაა, რომ საქართველო მრავალფეროვანი ადგილია, თუმცა, როგორ აღიქვამს და აფასებს მოსახლეობა ქვეყნის მრავალფეროვნებას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რესპონდენტებს ეთხოვათ, დაესახელებინათ უმცირესობის ჯგუფი, რომელიც ყველაზე პირველად ახსენდებათ. უმეტესობამ უპასუხა „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანების დიდი ნაწილი უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურად არ ფიქრობს. მათ, ვინც კონკრეტული ჯგუფი გაიხსენეს, ძირითადად დაასახელეს ეროვნული უმცირესობები (30%), ლგბტ ადამიანები (13%) და რელიგიური უმცირესობები (10%).

რესპონდენტებს ეთხოვათ, დაესახელებინათ უმცირესობის ჯგუფი, რომელიც ყველაზე პირველად ახსენდებათ. უმეტესობამ უპასუხა „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანების დიდი ნაწილი უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურად არ ფიქრობს. მათ, ვინც კონკრეტული ჯგუფი გაიხსენეს, ძირითადად დაასახელეს ეროვნული უმცირესობები (30%), ლგბტ ადამიანები (13%) და რელიგიური უმცირესობები (10%).

გამოსახულება 2: როდესაც უმცირესობებზე ფიქრობთ საქართველოში, პირველად რომელი ჯგუფი გახსენდებათ?



ზოგადად, სხვა თანაბარ პირობებში, შედარებით უფროსი ასაკის რესპონდენტები ახალგაზრდებზე ხშირად პასუხობდნენ „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები, სხვებთან შედარებით, იშვიათად პასუხობდნენ „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“. ეთნიკური ქართველები ეთნიკურ სომხებზე ხშირად პასუხობდნენ „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“, ხოლო ეთნიკური აზერბაიჯანელების პასუხები რესპონდენტთა ზემოაღნიშნული ორი ჯგუფის პასუხებს შორის მოთავსდა.

გამოსახულება 3: უმცირესობების შესახებ ინფორმირებულობა ასაკის მიხედვით



უმცირესობების შესახებ ინფორმირებულობის დონეზე ასევე მეტყველებს ის, თუ რამდენად აქვთ ან არ აქვთ ადამიანებს ინფორმაცია სხვადასხვა ჯგუფზე. აღნიშნული გაიზომა ირიბად - კერძოდ, რესპონდენტების მიმართ დაისვა კითხვა, მოუწონებდნენ თუ არა მათნაირ ადამიანს უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფთან საქმიან ურთიერთობებს. ინსტრუქციის მიხედვით, რესპონდენტებს ინტერვიუერისთვის უნდა ეთქვათ, თუ რომელიმე ჯგუფის შესახებ არაფერი სმენოდათ. ჯგუფების დიდი უმრავლესობის შესახებ რესპონდენტებს ჰქონდათ ინფორმაცია, თუმცა, 26%-ს არაფერი გაეგო ავარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ავარების დაახლოებით 3,000 წარმომადგენელი ცხოვრობს. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ მოსახლეობას, ძირითადად, დიდი ზომის ეთნიკური ჯგუფების შესახებ აქვს ინფორმაცია, ხოლო მცირე ჯგუფებზე, ხშირად, არაფერი იცის. თუმცა, აღნიშნული დასკვნის გასამყარებლად დამატებითი კვლევაა საჭირო.

ინფორმირებულობასთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა საზოგადოების მრავალფეროვნებას. აღნიშნულის დასადგენად, რესპონდენტების მიმართ დაისვა კითხვა, მიიჩნევენ თუ არა ისინი, რომ მრავალფეროვნება, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური, ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მრავალფეროვნება პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა, რესპონდენტთა აზრი გაიყო რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, რელიგიურ მრავალფეროვნებას უფრო ნაკლები ადამიანი მიიჩნევს პოზიტიურ მოვლენად, ვიდრე, ზოგადად, მრავალფეროვნებას ან ეთნიკურ მრავალფეროვნებას.

ამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მრავალფეროვნება პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა, რესპონდენტთა აზრი გაიყო რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, რელიგიურ მრავალფეროვნებას უფრო ნაკლები ადამიანი მიიჩნევს პოზიტიურ მოვლენად, ვიდრე, ზოგადად, მრავალფეროვნებას ან ეთნიკურ მრავალფეროვნებას.

გამოსახულება 4: მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?



ქვემოთ მოყვანილ ცხრილში განმარტებულია მიზეზები, რის გამოც ადამიანები მიიჩნევენ, რომ მრავალფეროვნება პოზიტიური მოვლენაა ან ნეგატიური. ამ მონაცემების თანახმად, მრავალფეროვნებას პოზიტიურ მოვლენად, ძირითადად, აღიქვამენ იმის გამო, რომ იგი ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის ან თავისთავად ფასეულია. ამის საპირისპიროდ, რესპონდენტებს მრავალფეროვნება ქვეყნისთვის ნეგატიურ მოვლენად მიაჩნდათ იმის გამო, რომ იგი საფრთხეს უქმნის „ჩვენს კულტურას და ტრადიციებს“. იგივე ზოგადი ტენდენცია შეინიშნება რესპონდენტების პასუხებში ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ. რაც შეეხება რელიგიურ მრავალფეროვნებას, უმრავლესობა (38%) მიიჩნევს, რომ იგი საფრთხეს უქმნის მათ რელიგიას, ხოლო რესპონდენტთა თითქმის იგივე რაოდენობა ფიქრობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის „ჩვენს კულტურას და ტრადიციებს“.

მრავალფეროვნებას პოზიტიურ მოვლენად, ძირითადად, აღიქვამენ იმის გამო, რომ იგი ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის ან თავისთავად ფასეულია. რესპონდენტებს მრავალფეროვნება ქვეყნისთვის ნეგატიურ მოვლენად მიაჩნდათ იმის გამო, რომ იგი საფრთხეს უქმნის „ჩვენს კულტურას და ტრადიციებს“.

გამოსახულება 5: რატომ არის მრავალფეროვნება დადებითი ან უარყოფითი მოვლენა



სხვადასხვა ფაქტორის კონტროლით ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგების თანახმად, ქალები, რელიგიური უმცირესობები, ეთნიკური აზერბაიჯანელები და ადამიანები, რომლებსაც, როგორც მინიმუმ, რაიმე სახის უმაღლესი განათლება გააჩნიათ, სხვებთან შედარებით უფრო მეტად ფიქრობენ, რომ მრავალფეროვნება პოზიტიური მოვლენაა. სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლებლობა იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანმა მრავალფეროვნება პოზიტიურად აღიქვას, არის 65%, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 51%-ია. სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში, ქალთა 57% და მამაკაცების 49% ფიქრობს, რომ მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა. სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში, შესაძლებლობა იმისა, რომ აზერბაიჯანელმა მრავალფეროვნება დადებით მოვლენად აღიქვას არის 92%, მაშინ როდესაც ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 54%-ია, ხოლო სომხების შემთხვევაში - 61%. შესაძლებლობა იმისა, რომ მრავალფეროვნება დადებით მოვლენად აღიქვას რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელმა, არის 82%, ხოლო რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენელმა - 51%.

მრავალფეროვნების შესახებ ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრებების გამოსავლენად ჩატარდა მეორე რეგრესიული ანალიზი. შედეგები ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტად ამბივალენტური და ბუნდოვანი განწყობა მრავალფეროვნების მიმართ აქვთ ქალებს, ეთნიკურ ქართველებს და ეთნიკურ სომხებს. რესპონდენტებს შორის, ქალების 53%-ის და მამაკაცების 46%-ის პასუხი იყო ამბივალენტური ან ბუნდოვანი. აღნიშნული მაჩვენებელი აზერბაიჯანელების შემთხვევაში 28%-ია, ეთნიკური ქართველების შემთხვევაში - 51%, ხოლო ეთნიკური სომხების შემთხვევაში - 64%.

დამოკიდებულება უმცირესობის კონკრეტული ჯგუფების მიმართ

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რამდენად მოუწონებდნენ რესპონდენტები მათნაირ ადამიანებს უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობის ქონას. მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ კონკრეტული ჯგუფები სხვა ჯგუფებზე მეტად მისაღებია. ამერიკელებსა და რუსებთან საქმიან ურთიერთობებს მოსახლეობის 80% უჭერს მხარს, აფრიკელებთან - 54%, ხოლო ჰომოსექსუალებთან - მხოლოდ 22%. მონაცემები სხვა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა. არაევროპული ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანების მიმართ მხარდაჭერა უფრო დაბალია, ვიდრე ევროპასთან ასოცირებული ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანების მიმართ. რელიგიურ ჯგუფებს შორის, რესპონდენტები საქმიან ურთიერთობას ყველაზე ნაკლებად იეჰოვას მოწმეებთან უჭერენ მხარს. საყურადღებოა, რომ ერთადერთი ჯგუფი, რომელთანაც საქმიან ურთიერთობას ყველაზე ნაკლები ადამიანი უჭერს მხარს, ჰომოსექსუალების ჯგუფია. ჰომოსექსუალებთან დაკავშირებით, თვისებრივი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ლგბტ ადამიანების მიმართ ტოლერანტობის დონე დაბალია, რაც ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებში თანაბრად შეინიშნებოდა. აღსანიშნავია, რომ ფოკუსჯგუფის ის მონაწილეებიც, რომლებიც, სხვებთან შედარებით, ლგბტ ადამიანების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ, შეხვედრებზე ჰომოსექსუალების მიმართ შეურაცხმყოფელ სიტყვებს იყენებდნენ.

გამოსახულება 6: უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობების მისაღებობა

მოუწონებდით თუ არა თქვენნაირ ადამიანს საქმიან ურთიერთობებს ... (%)



ეთნიკური სომხები და ეთნიკური აზერბაიჯანელები ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობებს ეწინააღმდეგებიან უფრო მეტად, ვიდრე ეთნიკურ ქართველებთან. ფოკუსჯგუფში ჩატარებული დისკუსიის დროს ეთნიკურმა სომხებმა გამოხატეს გარკვეული თანაგრძნობა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეთნიკური სომხები საქართველოში აწყდებიან, ხოლო ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა თანაგრძნობა გამოხატეს, ზოგადად, ეთნიკური უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებით. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, „უმცირესობები მეორეხარისხოვანი მოქალაქეები არიან. ეს ყველა ქვეყანაში ხდება“ (32 წლის მამაკაცი მარნეულიდან).

გამოსახულება 7: საქმიანი ურთიერთობების მისაღებობა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით



მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიქმნა ინდექსი იმის დასადგენად, თუ რამდენად არსებობს ფაქტორები, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ტოლერანტობის დონეს, როგორც მინიმუმ, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირებთან საქმიანი ურთიერთობის მოწონების კუთხით. ზემოაღნიშნულ კითხვებზე ყოველი დადებითი პასუხის გაცემისთვის მონაწილეს მიენიჭა 1 ქულა, ხოლო უარყოფითი პასუხის გაცემისთვის - 1; პასუხები „არ ვიცი“, „უარი პასუხზე“ ან „ამ ჯგუფის შესახებ არაფერი მსმენია“ 0 ქულით შეფასდა. შედეგად, მიღებული ქულების რაოდენობა მერყეობს -25-დან +25-მდე. +25 ქულა ნიშნავს იმას, რომ მონაწილე იწონებს საქმიან ურთიერთობას ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ჯგუფთან, ხოლო -25 ნიშნავს, რომ მონაწილე საქმიან ურთიერთობას არც ერთ ჯგუფთან არ ემხრობა. ინდექსის საშუალო მაჩვენებელია 9 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები უფრო მეტად იწონებენ, ვიდრე არ იწონებენ ზოგადად უმცირესობის ჯგუფებთან საქმიან ურთიერთობებს. საქართველოში ყოველი ათი ადამიანიდან 1 (11%) აცხადებს, რომ იგი მზადაა, ჩამოთვლილთაგან ყველა ჯგუფთან იქონიოს საქმიანი ურთიერთობა, რაც ტოლერანტობის მაღალი დონის მაჩვენებელია. მეორე მხრივ, ადამიანთა 1%-მა მიიღო -23, -24 ან -25 ქულა - ე.ი. ისინი თითქმის არც ერთ ჩამოთვლილ ჯგუფთან

არ ემხრობიან საქმიან ურთიერთობას. შესაბამისად, მათ აქვთ ტოლერანტობის დაბალი დონე.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი არის მთლიანად ტოლერანტული, ხოლო უფრო დიდი ნაწილი არის ძირითადად ტოლერანტული (ათიდან ერთი), მინიმუმ, როცა საქმე ეხება უმცირესობის ჯგუფებთან საქმიან ურთიერთობებს. იმის დასადგენად, თუ ვინ არის უფრო მეტად ან ნაკლებად მიდრეკილი ტოლერანტობისკენ, ჩატარდა რეგრესიული ანალიზი. კერძოდ, ანალიზს უნდა გამოევლინა იმ ადამიანების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელთაც ზემოაღნიშნულ ინდექსში 24 ან მეტი ქულა მიენიჭათ. სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში, შესაძლებლობა იმისა, რომ ეთნიკური ქართველი იქნება მაღალი ტოლერანტობის მატარებელი, არის 11%, ხოლო ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 4%-ს უტოლდება. ახალგაზრდები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ტოლერანტობისკენ - კერძოდ, 18-დან 23 წლამდე ადამიანებისთვის მაღალი ტოლერანტობის შესაძლო მაჩვენებელი არის 16%, ხოლო 85 წელს ზემოთ ადამიანების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ის ტოლია. სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლებლობა იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები იქნებიან მაღალი ტოლერანტობის მატარებელნი, არის 16%, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონე პირების შემთხვევაში - 10%.

ქართული საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი არის მთლიანად ტოლერანტული, ხოლო უფრო დიდი ნაწილი არის ძირითადად ტოლერანტული (ათიდან ერთი), მინიმუმ, როცა საქმე ეხება უმცირესობის ჯგუფებთან საქმიან ურთიერთობებს.

ახალგაზრდები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ტოლერანტობისკენ - კერძოდ, 18-დან 23 წლამდე ადამიანებისთვის მაღალი ტოლერანტობის შესაძლო მაჩვენებელი არის 16%, ხოლო 85 წელს ზემოთ ადამიანების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ის ტოლია.

გამოსახულება 8: მაღალი ტოლერანტობის შესაძლო მაჩვენებელი ასაკის მიხედვით



ტოლერანტობის დონეზე მეტყველებს ისიც, თუ ვის ისურვებდნენ ადამიანები თავიანთ მეზობლად. გამოკითხვის ფარგლებში მონაწილეებს ეთხოვათ, დაესახელებინათ ის ჯგუფები, რომლებსაც მეზობლებად არ ისურვებდნენ. მათ შეეძლოთ, მოენიშნათ იმდენი ჯგუფი, რამდენიც სურდათ. ყველაზე ხშირად, მონაწილეები ნიშნავდნენ ნარკოდამოკიდებულ პირებს (67%) და კრიმინალებს (67%), ხოლო შემდეგ ლგბტ ადამიანებს (54%). სხვა ჯგუფები რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა დაასახელა, რაც ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უმცირესობის ჯგუფებს შორის, საქართველოში ნეგატიური განწყობა ყველაზე მეტად ლგბტ ადამიანების მიმართ არსებობს.

მონაწილეებს ეთხოვათ, დაესახელებინათ ის ჯგუფები, რომლებსაც მეზობლებად არ ისურვებდნენ. მათ შეეძლოთ, მოენიშნათ იმდენი ჯგუფი, რამდენიც სურდათ. ყველაზე ხშირად, მონაწილეები ნიშნავდნენ ნარკოდამოკიდებულ პირებს (67%) და კრიმინალებს (67%), ხოლო შემდეგ ლგბტ ადამიანებს (54%).

გამოსახულება 9: ჩამოთვლილთაგან ვის არ ისურვებდით თქვენს მეზობლად?



რაც შეეხება მრავალფეროვნების გაცნობიერებასა და აღქმას, ზემოაღნიშნული მონაცემები და ანალიზი რამდენიმე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. პირველ რიგში, ბევრი ადამიანი მრავალფეროვნებაზე არ ფიქრობს - კერძოდ, კითხვაზე, უმცირესობის რომელი ჯგუფი ახსენდებათ პირველად, სამიდან ერთი ადამიანის (36%) პასუხი იყო „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“. მეორე, როდესაც საქმე ეხება ზოგადად უმცირესობებს, ადამიანებს პირველ რიგში ეთნიკური უმცირესობები ახსენდებათ. მესამე, ადამიანები უმეტესად მიიჩნევენ, რომ მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა, თუმცა, რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ ნაკლებად პოზიტიურები არიან. ადამიანებს, რომლებსაც მრავალფეროვნება უარყოფით მოვლენად მიაჩნიათ, ძირითადად, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების საკითხი აწუხებთ. მეოთხე, არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს ადამიანის მიერ

ტოლერანტული დამოკიდებულების გამოხატვას. უმაღლესი განათლება, როგორც წესი, შედარებით პოზიტიურ განწყობასთან ასოცირდება, ხოლო რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, მით უფრო ტოლერანტულია იგი. მრავალფეროვნების მიმართ ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება, ძირითადად, ახასიათებთ ქალებს, ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ სომხებს (განსხვავებით ეთნიკური აზერბაიჯანელებისგან), რაც იმის მანიშნებელია, რომ პროექტის ცნობიერების ამაღლების კამპანიამ სწორედ აღნიშნულ ჯგუფებზე უნდა მოახდინოს ფოკუსირება. და ბოლოს, თუ დავუშვებთ, რომ საქმიანი ურთიერთობის შესახებ კითხვით გამოვლენილი ტენდენცია სხვა თემებსაც მიესადაგება, მაშინ, სავარაუდოდ, საქართველოში ტოლერანტობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რელიგიური უმცირესობების (ებრაელების გამოკლებით) და ლგბტ ადამიანების მიმართ არსებობს.

უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები

უმცირესობებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც - არაუმცირესობებს. თუმცა, პრაქტიკაში უმცირესობები აწყდებიან არაერთ პრობლემას, რასთან გამკლავებაც უმრავლესობის ჯგუფებს არ უწევთ. საქართველოში მოსახლეობა რამდენად იცნობს უმცირესობების უფლებებს და რამდენად აცნობიერებს განსხვავებული ჯგუფების უფლებების დაცვის მნიშვნელობას? მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ, ზოგადად, ადამიანებს აქვთ ინფორმაცია უმცირესობების უფლებების შესახებ, თუმცა, ზოგიერთი ჯგუფის უფლებების დაცვას ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ამასთან, უმრავლესობის ჯგუფებში გავრცელებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობებმა უმრავლესობების უფლებების განხორციელება არ უნდა შეაფერხონ.

ზოგადად, ადამიანებს აქვთ ინფორმაცია უმცირესობების უფლებების შესახებ, თუმცა, ზოგიერთი ჯგუფის უფლებების დაცვას ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ამასთან, უმრავლესობის ჯგუფებში გავრცელებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობებმა უმრავლესობების უფლებების განხორციელება არ უნდა შეაფერხონ.

გამოკითხვის ფარგლებში მონაწილეებს ეთხოვათ (პირდაპირ ან ირიბად) საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება შემდეგ უფლებებთან დაკავშირებით:

- ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიაზე ხელმისაწვდომობა უმცირესობების ენაზე და მედიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა;
- რელიგიის გამოხატვის უფლება;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებასა და კულტურაზე;
- ინსტიტუციური ჩარჩო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა არჩეულ ორგანოებსა და საჯარო ადმინისტრირების სფეროში;
- სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- უმცირესობის წარმომადგენლების მიერ საკუთარი ენის თავისუფლად და შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა;
- დაპატიმრების შემთხვევაში, უმცირესობის წარმომადგენლის დროულად ინფორმირება დაპატიმრების მიზეზისა და ბრალდების შესახებ, მისთვის გასაგებ ენაზე; ასევე, მისთვის დაცვის განხორციელების შესაძლებლობის მინიჭება, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით;
- არჩევნებში ხმის მიცემის უფლება;
- არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება;
- შეკრების თავისუფლება.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსახლეობა აღიარებს ზემოაღნიშნული უფლებების უმეტესობას. იმავდროულად, ადამიანების 5%-დან 43%-მდე არ აღიარებს ჩამოთვლილი უფლებებიდან ერთ-ერთს, ხოლო უმცირესობების პოლიტიკური უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონე ყველაზე დაბალია. მხოლოდ 69% მიიჩნევს, რომ უმცირესობებს აქვთ ხმის მიცემის უფლება; 55% აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა; 53% ფიქრობს, რომ უმცირესობებს თანამდებობაზე არჩევის უფლება აქვთ, ხოლო 47%-ს მიაჩნია, რომ უმცირესობებს საჯარო საპროტესტო აქციის გამართვის უფლება აქვთ. აღნიშნული პოლიტიკური უფლებების გამოკლებით, ადამიანების უმეტესობამ აღნიშნა, რომ უმცირესობებს ყველა ჩამოთვლილი უფლება აქვთ.

უმცირესობების პოლიტიკური უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონე ყველაზე დაბალია. მხოლოდ 69% მიიჩნევს, რომ უმცირესობებს აქვთ ხმის მიცემის უფლება; 55% აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა; 53% ფიქრობს, რომ უმცირესობებს თანამდებობაზე არჩევის უფლება აქვთ, ხოლო 47%-ს მიაჩნია, რომ უმცირესობებს საჯარო საპროტესტო აქციის გამართვის უფლება აქვთ.

გამოსახულება 10: მოსახლეობის აზრით, რა უფლებები აქვთ უმცირესობებს?



საზოგადოების მეოთხედი (25%) აღიარებს ყველა ჩამოთვლილ უფლებას, ხოლო 3%-მა ზემოაღნიშნულ არც ერთ კითხვას არ გასცა დადებითი პასუხი. საშუალოდ, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ უმცირესობებს ჩამოთვლილი 14 უფლებიდან 10 უფლება აქვთ. იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები უმცირესობის უფლებების შესახებ ადამიანის ინფორმირებულობის დონეს, დასმულ 14 კითხვაზე დაყრდნობით შეიქმნა ინდექსი. ყოველი დადებითი პასუხისთვის, რესპონდენტებს მიენიჭათ თითო ქულა, ხოლო ნებისმიერი სხვა პასუხი 0 ქულით შეფასდა. რეგრესიული ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, საშუალოდ, აღიარებენ ერთით მეტ უფლებას, ვიდრე უმაღლესი განათლების არმქონენი. იმ უფლებების რაოდენობა, რომლებსაც ეთნიკური აზერბაიჯანელები აღიარებენ, 2 ან 3-ით აღემატება ეთნიკური ქართველების მიერ აღიარებული უფლებების რაოდენობას. საშუალოდ, სოფლად მცხოვრები ადამიანები, თბილისში მაცხოვრებლებთან შედარებით, ერთით მეტ უფლებას აღიარებენ, ხოლო ქალები, მამაკაცებთან შედარებით - ერთით ნაკლებს. უფროსი ასაკის ადამიანები ნაკლებად აღიარებენ ზემოაღნიშნულ უფლებებს, თუმცა, უფროს და უმცროს რესპონდენტებს შორის განსხვავების მაჩვენებელი იყო არსებითად მცირე.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, საქართველოში მოსახლეობა უმცირესობების უფლებებზე ინფორმაციას ფლობს, ისინი მიიჩნევენ, რომ უმცირესობათა გარკვეული უფლებების დაცვა სხვა უფლებების დაცვაზე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, საქართველოში მოსახლეობა უმცირესობების უფლებებზე ინფორმაციას ფლობს, ისინი მიიჩნევენ, რომ უმცირესობათა გარკვეული უფლებების დაცვა სხვა უფლებების დაცვაზე მნიშვნელოვანია. შესადარებლად და იმის დასადგენად, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება, ზოგადად, უფლებების დაცვას, რესპონდენტების მიმართ დაისვა კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის ეთნიკური ქართველების უფლებების დაცვა. 87%-მა განაცხადა, რომ ეთნიკური ქართველების უფლებების დაცვა არის „ძალიან მნიშვნელოვანი“ ან „მნიშვნელოვანი“. იმავდროულად, 95%-ს მიაჩნდა, რომ შშმ პირებისა და ქალების უფლებების დაცვა იყო „მნიშვნელოვანი“ ან „ძალიან მნიშვნელოვანი“, ხოლო 92% მიიჩნევდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა იყო „მნიშვნელოვანი“ ან „ძალიან მნიშვნელოვანი“. მეორე მხრივ, შედარებით ნაკლებ რესპონდენტს მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანია უმცირესობათა შემდეგი ჯგუფების უფლებების დაცვა: იმიგრანტები (80%), ეთნიკური უმცირესობები (80%), რელიგიური უმცირესობები (76%) და ლგბტ ადამიანები (33%). აშკარაა, რომ ლგბტ თემის უფლებები ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან უფლებად არის მიჩნეული. ლგბტ ადამიანები ერთადერთი ჯგუფი იყო, რომელთან დაკავშირებითაც, იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მათი უფლებების დაცვა „არ იყო მნიშვნელოვანი“ ან „საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი“ აჭარბებდა იმ რესპონდენტების რაოდენობას, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათი უფლებების დაცვა იყო „მნიშვნელოვანი“.

95%-ს მიაჩნდა, რომ შშმ პირებისა და ქალების უფლებების დაცვა იყო „მნიშვნელოვანი“ ან „ძალიან მნიშვნელოვანი“, ხოლო 92% მიიჩნევდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა იყო „მნიშვნელოვანი“ ან „ძალიან მნიშვნელოვანი“. მეორე მხრივ, შედარებით ნაკლებ რესპონდენტს მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანია უმცირესობათა შემდეგი ჯგუფების უფლებების დაცვა: იმიგრანტები (80%), ეთნიკური უმცირესობები (80%), რელიგიური უმცირესობები (76%) და ლგბტ ადამიანები (33%).

გამოსახულება 11: საქართველოს განვითარებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია უმცირესობების უფლებების დაცვა?



იმის დასადგენად, თუ რატომ აქვთ ადამიანებს ჰომოსექსუალების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ეთნიკური ქართველების მონაწილეობით ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი. მონაწილეები დაიყვნენ სქესის მიხედვით. ფოკუსჯგუფის მიმდინარეობისას ლგბტ ადამიანების უფლებების მიმართ დამოკიდებულების კუთხით რამდენიმე განსხვავებული დისკურსი გამოიკვეთა. პირველი, რესპონდენტებს მიაჩნდათ, რომ ლგბტ ადამიანებმა „საზოგადოება“ არ უნდა შეაწუხონ და ჰეტეროსექსუალთა უფლებები არ უნდა „შეზღუდონ“. მეორე, მონაწილეებს ჰქონდათ იმის განცდა, რომ ლგბტ ადამიანები პროპაგანდას ეწევიან. ზოგიერთი რესპონდენტისთვის აღნიშნული პროპაგანდა უკავშირდება ჰომოსექსუალიზმის გავრცელების შიშს და არა იმას, რომ ადამიანი, შეიძლება, ჰომოსექსუალად დაიბადოს. მესამე, მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქართველები რელიგიურ და ტრადიციულ საზოგადოებას წარმოადგენენ და ლგბტ ადამიანებმა აღნიშნულს პატივი უნდა სცენ. მამაკაცებისგან შემდგარ ფოკუსჯგუფში, ზემოხსენებულ დისკურსთან ერთად, დაფიქსირდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც რესპონდენტები ეჭვქვეშ აყენებდნენ ლგბტ ადამიანების მხრიდან თავიანთი უფლებების დაცვის მოთხოვნის ლეგიტიმურობას. კერძოდ, ისინი აცხადებდნენ, რომ: ა) ლგბტ ადამიანებს თავიანთი უფლებების დაცვის მოთხოვნით საპროტესტო აქციების გამართვაში ფულს უხდიან; ბ) დასავლური ორგანიზაციები და მთავრობები ლგბტ ადამიანების უფლებებთან დაკავშირებულ დღის წესრიგს საქართველოს ძალით ახვევენ თავს. ზოგადად, მამაკაცებისგან შემდგარი ფოკუსჯგუფის მონაწილეები ლგბტ ადამიანებისა და მათი უფლებების მიმართ თვისებრივად უფრო მტრულად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე ქალებისგან შემდგარი ფოკუსჯგუფის მონაწილეები. აღნიშნული დასკვნები ცხადყოფს, რომ ლგბტ ადამიანების უფლებების სასარგებლოდ ადვოკატირება სიფრთხილეს საჭიროებს. ადვოკატირების ძალისხმევა ადგილობრივი აქტორების ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ქართული საზოგადოების ზოგიერთი სეგმენტის თვალში ლეგიტიმურობას კიდევ უფრო მეტად დაკარგავს.

იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს დემოგრაფიული მახასიათებლები ადამიანების მიერ უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმას,

ჩატარდა რეგრესიული ანალიზი და შეიქმნა შესაბამისი ინდექსი. ინდექსში ქულების მაქსიმალური რაოდენობა იყო 36, ხოლო მინიმალური - 0. მინიმალური 0 ქულა ნიშნავს იმას, რომ რესპონდენტი არც ერთი ჩამოთვლილი ჯგუფის უფლებების დაცვას არ მიიჩნევს მნიშვნელოვნად, ხოლო მაქსიმალური 36 ქულა ნიშნავს იმას, რომ რესპონდენტს მნიშვნელოვნად მიაჩნია ყველა ჩამოთვლილი ჯგუფის უფლებების დაცვა. რეგრესიული ანალიზის შედეგების თანახმად, ნაკლებად სავარაუდოა, სხვადასხვა უფლების დაცვა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნიონ შედარებით უფროსი ასაკის ადამიანებმა, ეთნიკურმა სომხებმა და, პოტენციურად, სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა. საშუალოდ, სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში, ეთნიკურმა სომხებმა ეთნიკურ ქართველებზე სამი ქულით ნაკლები დააგროვეს. ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ასაკის ადამიანები უფრო იშვიათად აცხადებენ, რომ უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, აღნიშნულის გავლენა შედარებით მცირეა (0.25 ქულა ყოველ დამატებით 10 წელზე). სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა თბილისში მაცხოვრებლებზე ერთი ქულით ნაკლები დააგროვეს, სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში.[5] მეორე მხრივ, ეთნიკური აზერბაიჯანელები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და რელიგიური უმცირესობები ქვეყანაში უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვას შედარებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. აზერბაიჯანელებმა, საშუალოდ, სხვა ფაქტორების კონტროლის პირობებში, ეთნიკურ ქართველებზე ორი ქულით მეტი დააგროვეს. რელიგიურმა უმცირესობებმა რელიგიურ უმრავლესობებზე სამი ქულით მეტი მიიღეს. საშუალოდ, უმაღლესი განათლების მქონე პირებმა დააგროვეს ერთი ქულით მეტი, ვიდრე უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანებმა.

მეორე რეგრესიული ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავდა უფლებების დაცვის მნიშვნელობის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებას ის, თუ რამდენი უფლების შესახებ ჰქონდა ამ ადამიანს ინფორმაცია. ანალიზი ჩატარდა რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების კონტროლის პირობებში. შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უმცირესობის უფლებების დაცვის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებას. აღნიშნული პოზიტიური ასოციაცია უმცირესობის უფლებების შესახებ ინფორმირებულობასა და მათი დაცვის მნიშვნელოვნად მიჩნევას შორის, რა თქმა უნდა, კორელაციურია, ხოლო კორელაცია არ წარმოადგენს მიზეზობრიობას. თუმცა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ უმცირესობის უფლებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ადამიანების მიერ აღნიშნული უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმის ამაღლებას.

როდესაც საქმე ეხება ლგბტ ადამიანების დაცვას, რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს ადამიანის მიერ უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმას. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი განმაპირობებელია სქესი. კერძოდ, გაცილებით ნაკლებად სავარაუდოა მამაკაცების მიერ ლგბტ თემის უფლებების დაცვის მხარდაჭერა, ვიდრე რელიგიური უმცირესობებისა და იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ. რაც შეეხება ზოგადად უფლებებს, მეორე რეგრესიული ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს სხვადასხვა უფლების შესახებ ინფორმირებულობა ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის მხარდაჭერის დონეს. მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ გაცილებით მეტი შანსია, ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად მიიჩნიოს უმცირესობების უფლებების შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულმა ადამიანმა.

ზემოაღნიშნული ანალიზი მიუთითებს, რომ სხვადასხვა ჯგუფის განწყობა შედარებით პოზიტიური ან ნეგატიურია, თუმცა, ცვლილებებს ხელს შეუწყობს ის

5 აღნიშნული დასკვნის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს სიფრთხილით, რადგან p-მნიშვნელობამ ვერ მიაღწია სტატისტიკური მნიშვნელობის სტანდარტულ დონეს (p=0.08).

აქტივობები, რომელთა სამიზნესაც წარმოადგენენ ამბივალენტური ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პოზიციის მქონე ადამიანები. იმის დასადგენად, თუ რამდენად ამბივალენტურია კონკრეტული ჯგუფი, მოხდა ინდექსის შედგენა, სადაც რესპონდენტებს შკალაზე ყოველი შუალედური პასუხისთვის („მნიშვნელოვანია“, „არც მნიშვნელოვანია და არც უმნიშვნელო“ და „უმნიშვნელოა“) და, ასევე, „არ ვიცი“ პასუხისთვის მიენიჭათ ერთი ქულა. შკალის უკიდურეს წერტილებზე განთავსებული ყოველი პასუხი 0 ქულით შეფასდა („ძალიან მნიშვნელოვანია“ და „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“). შედეგებზე დაყრდნობით, შედარებით ნაკლებად ამბივალენტური ან ბუნდოვანია აზერბაიჯანელების პასუხები, სომხების პასუხები კი - პირიქით, უფრო მეტად ამბივალენტური და ბუნდოვანია. სოფლად მცხოვრები ადამიანები[6] შედარებით მეტად, რელიგიური უმცირესობები კი გაცილებით ნაკლებად გამოხატავენ ამბივალენტურ ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელ პოზიციას. ქალები ასეთ დამოკიდებულებას ოდნავ მეტად გამოხატავენ.[7]

იგივე ანალიზი ჩატარდა ლგბტ თემის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების გამოსავლენად. შედეგების თანახმად, ქალები, სომხები და თბილისის გარეთ მაცხოვრებლები უფრო მეტად გამოხატავენ ამბივალენტურ ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელ დამოკიდებულებას ლგბტ ადამიანების მიმართ, ხოლო რელიგიური უმცირესობები ნაკლებად ამბივალენტურნი არიან. შესაძლებლობა იმისა, რომ სომხები ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ამბივალენტურ პოზიციას გამოხატავენ, არის 73%, ხოლო ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 45%-ია. ამავე თემაზე მამაკაცების მიერ ამბივალენტური ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პოზიციის გამოხატვის შესაძლო მაჩვენებელი არის 39%, ხოლო ქალების - 49%. თბილისში მაცხოვრებელი ადამიანების სავარაუდოდ 45% გამოხატავს ამბივალენტურ ან ბოლომდე ჩამოუყალიბებელ დამოკიდებულებას, მაშინ როდესაც სხვა ურბანული დასახლებების მაცხოვრებლების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი უტოლდება 68%-ს, ხოლო სოფლად მაცხოვრებლების შემთხვევაში - 73%-ს.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული თვისებრივი მონაცემების თანახმად, უმრავლესობის ჯგუფები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავიანთი უფლებების განხორციელებით უმცირესობები უმრავლესობების უფლებებს ლახავენ. მაგალითად, რესპონდენტების ნაწილის აზრით, ლგბტ ადამიანებმა უმრავლესობის უფლებები შელახეს 2013 წელს IDAHO-ს აღსანიშნავად რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის ჩატარებით. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „ქაშუეთის [ეკლესიის] წინ არ უნდა გამოხატავდნენ პროტესტს. შეუძლიათ, წავიდნენ თბილისის ზღვასთან, ზოოპარკთან ახლოს, სადაც მხოლოდ ხეებია და იქ ირბინონ და იყვირონ“ (32 წლის ქართველი მამაკაცი). მეორე რესპონდენტმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, შეუძლიათ იცხოვრონ აქ, მაგრამ თავიანთი რელიგია სხვებს თავს არ უნდა მოახვიონ“ (26 წლის ქართველი მამაკაცი). იმავდროულად, ზოგიერთი ადამიანი მომავლის მიმართ იმედიანად არის განწყობილი. როგორც ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, „საქართველოს ევროკავშირის წევრობა სურს და ცდილობს, სტანდარტები გააუმჯობესოს. მჯერა, რომ 10 წელიწადში ყველაფერი უკეთ იქნება და განხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრესი ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით“ (29 წლის აზერბაიჯანელი მამაკაცი).

„საქართველოს ევროკავშირის წევრობა სურს და ცდილობს, სტანდარტები გააუმჯობესოს. მჯერა, რომ 10 წელიწადში ყველაფერი უკეთ იქნება და განხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრესი ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით“ (29 წლის აზერბაიჯანელი მამაკაცი).

6 აქ p-მნიშვნელობა სტატისტიკური მნიშვნელობის სტანდარტულ დონეს ოდნავ აღემატებოდა (p=0.06).

7 აქ p-მნიშვნელობა სტატისტიკური მნიშვნელობის სტანდარტულ დონეს ოდნავ აღემატებოდა (p=0.06).

ზემოაღნიშნული გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილი ინფორმირებულია უმცირესობის უფლებების შესახებ, თუმცა, მისი სამი მეოთხედი უმცირესობის, მინიმუმ, რამდენიმე უფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. უმცირესობის პოლიტიკური უფლებები ყველაზე ნაკლებად არის აღიარებული. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია უმცირესობის უფლებების დაცვა, თუმცა, მხოლოდ ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია. ზოგადად, რელიგიურ უმცირესობებს, უმაღლესი განათლების მქონე პირებსა და ადამიანებს, რომლებიც სხვებზე მეტად არიან ინფორმირებულნი უმცირესობის უფლებებზე, აღნიშნული უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. სხვებთან შედარებით, ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პოზიციები უფრო მეტად გააჩნიათ ეთნიკურ სომხებსა და ქართველებს, ასევე, სოფლად და დედაქალაქის გარეთ, სხვა ურბანულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ ადამიანებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტის ცნობიერების ამაღლების აქტივობების სამიზნე ჯგუფებს სწორედ ისინი უნდა წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ლგბტ ადამიანებს, ფოკუსჯგუფების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მამაკაცებს შედარებით ნაკლები მზაობა აქვთ ლგბტ ადამიანების უფლებებზე სასაუბროდ. მათი აზრით, ლგბტ ადამიანებმა პატივი უნდა სცენ უმრავლესობის უფლებებს, ამასთან, ისინი ფიქრობენ, რომ ლგბტ უფლებებს საქართველოს „გარედან“ ახვევენ თავს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ლგბტ უფლებების შესახებ ადვოკატირება ადგილობრივი აქტორების ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, მოპოვებული მონაცემების თანახმად, აღნიშნულ საკითხზე შედარებით ადვილი იქნება მუშაობა ქალებთან.

> ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილი ინფორმირებულია უმცირესობის უფლებების შესახებ, თუმცა, მისი სამი მეოთხედი უმცირესობის, მინიმუმ, რამდენიმე უფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბები ქართულ საზოგადოებაში და მათი გავლენა კონკრეტულ ჯგუფებზე

საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის სამიზნეს არაერთი ჯგუფი წარმოადგენს. საქართველოში ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაული. ამის მაგალითია 2013 წელს „ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს“ (IDAHO)[8] მომხდარი არეულობა, რომლის დროსაც ათასობით ადამიანი ლგბტ უფლებების რამდენიმე ათეულ აქტივისტს დაუპირისპირდა, ასევე, 2018 წლის დასაწყისში ფეხბურთის სტადიონიდან მიგრანტების გაძევების შემთხვევა. არაერთი წელია, რაც საზოგადოების თვალთახედვის არეში რადიკალური ინციდენტები ხვდება. იმავდროულად, დისკრიმინაციამ და სიძულვილის ენის გამოყენებამ რეგულარული და უფრო მზაკვრული სახე მიიღო. როგორია ადამიანების აღქმა იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს უკავშირდება? რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ და რა დამოკიდებულება აქვს მათთან მიმართებით?

რა პრობლემებს აწყდებიან ადამიანები?

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა დაასახელეს ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებსაც, მათი აზრით, საქართველოში სხვადასხვა ჯგუფი აწყდება. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში[9] რესპონდენტებს ეთხოვათ, დაესახელებინათ უმცირესობის ის ჯგუფი, რომელსაც თავად წარმოადგენდნენ. დოკუმენტის წინამდებარე ნაწილი უმცირესობის ჯგუფებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ კითხვებზე მიღებულ პასუხებს მიმოიხილავს. შესაძლებლობის შესაბამისად, მოპოვებული მონაცემების ჩაშლა მოვახდინეთ იმის მიხედვით, მიეკუთვნებოდა თუ არა რესპონდენტი შესაბამის ჯგუფს.

> შედარებითი უმრავლესობა (38%) საქართველოში მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან, არის ქართული ენის უცოდინრობა.

შედარებითი უმრავლესობა (38%) საქართველოში მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან, არის ქართული ენის უცოდინრობა. ამასთან, ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ქართული ენის

8 ანგარიშში გამოყენებულია აღნიშნული დასახელება, რადგან ხსენებული მოვლენების დროს, „საერთაშორისო დღე ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ“ არ მოიცავდა ტრანსფობიას.

9 მონაწილეების სექსუალური იდენტობის შესახებ მონაცემების შეგროვება არ მომხდარა, რადგან აღნიშნული ზედმეტად მგრძნობიარე საკითხად იყო მიჩნეული. კვლევაში არ მონაწილეობდა შშმ პირების საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ მათ მიერ დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით საიმედო სტატისტიკური დასკვნა გაკეთებულიყო, განსხვავებით შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირების მიერ დასახელებული საკითხებისა.

უცოდინრობა ხშირად ზღუდავს შრომის ბაზარზე წარმატების შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით, რა გასაკვირია, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხად დამსაქმებლების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების დასაქმების სურვილის არქონა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული პრობლემები (9%) პირველ ხუთეულში დასახელდა.

გამოსახულება 12: საზოგადოების აზრი იმ მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან



ეკონომიკური საკითხები ეთნიკურ უმცირესობათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის აღიარებული. იმავდროულად, დასმულ კითხვაზე მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო - ეთნიკურ უმცირესობებს „არ აქვთ პრობლემები“ (26%), ხოლო მეოთხე ყველაზე გავრცელებული პასუხი - „არ ვიცი“ (14%). მონაცემები ცხადყოფს, რომ ეთნიკური ქართველები ნაკლებ ემპათიას იჩენენ საქართველოში უმცირესობების პრობლემების მიმართ: სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, თითქმის სამჯერ მეტმა ეთნიკურმა ქართველმა განაცხადა, რომ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემები არ აქვთ (29%). სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვადასხვა პრობლემა იყო ხაზგასმული. კერძოდ, ეთნიკური აზერბაიჯანელები (50%) ქართული ენის არცოდნას პრობლემად ეთნიკურ ქართველებსა (38%) და ეთნიკურ სომხებზე (34%) მეტად აღიქვამენ. ეთნიკური სომხები ყველაზე ხშირად გამოყოფდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფოს სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (19%) და პოლიტიკაში არასათანადო წარმომადგენლობა (17%).

ეთნიკური აზერბაიჯანელები (50%) ქართული ენის არცოდნას პრობლემად ეთნიკურ ქართველებსა (38%) და ეთნიკურ სომხებზე (34%) მეტად აღიქვამენ. ეთნიკური სომხები ყველაზე ხშირად გამოყოფდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფოს სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (19%) და პოლიტიკაში არასათანადო წარმომადგენლობა (17%).

გამოსახულება 13: სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსაზრება იმ პრობლემების თაობაზე, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან



რელიგიური უმცირესობების პრობლემების შესახებ კითხვაზე ყველაზე ხშირი პასუხია „არ აქვთ პრობლემები“ ან „არ ვიცი“. საქართველოში მოსახლეობის მესამედი (38%) მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობები საქართველოში პრობლემებს არ აწყდებიან, ხოლო 19% აცხადებს, რომ მათ ასეთი პრობლემების შესახებ არაფერი იციან. მოსახლეობის 57%-მა ვერ დაასახელა რომელიმე კონკრეტული პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვანია რელიგიური უმცირესობებისთვის, ხოლო მათ ვინც კონკრეტული პრობლემა მიუთითა, ყველაზე ხშირად დაასახელა სიძულვილის ენა (15%) და ის, რომ დამსაქმებლებს ურჩევნიათ, არ დაასაქმონ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები.

მოსახლეობის 57%-მა ვერ დაასახელა რომელიმე კონკრეტული პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვანია რელიგიური უმცირესობებისთვის, ხოლო მათ ვინც კონკრეტული პრობლემა მიუთითა, ყველაზე ხშირად დაასახელა სიძულვილის ენა (15%) და ის, რომ დამსაქმებლებს ურჩევნიათ, არ დაასაქმონ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები.

გამოსახულება 14: პრობლემები, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია რელიგიური უმცირესობებისთვის



რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ადამიანები, რომლებიც არ არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან, ვიდრე მართლმადიდებელი ქრისტიანები. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რელიგიური უმცირესობები და უმრავლესობები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ იმ საკითხებს, რომლებიც რელიგიური უმცირესობებისთვის პრობლემურია. მუსლიმებსა (17%) და არამართლმადიდებელ ქრისტიანებთან (20%) შედარებით, ორჯერ მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი (44%) მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობები პრობლემებს არ აწყდებიან. სხვა ქრისტიანული ჯგუფები, ასევე, შედარებით ხშირად მიიჩნევენ, რომ რელიგიურ უმცირესობებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი რელიგიურ დაწესებულებებზე (15%) და სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ არ იცავენ მათ უფლებებს (14%). საინტერესოა, რომ მუსლიმების 33%-მა არ იცის, რომელია რელიგიური უმცირესობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები.[10]

10 წინამდებარე სექციის მიზნებისთვის, რელიგიური უმცირესობა ნიშნავს ყველა იმ ადამიანს, რომელიც თავს არ მიიჩნევს მართლმადიდებელ ქრისტიანად, ნაცვლად იმ ადამიანისა, რომელიც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში დომინანტური რელიგიის მიმდევრად არ თვლის თავს.

გამოსახულება 15: სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა მოსაზრება რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ



რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ შშმ პირები საქართველოში სხვადასხვა პრობლემას აწყდებიან. უმეტესად, ეს პრობლემები დასაქმებას უკავშირდება - კერძოდ, პასუხებს შორის ყველაზე მეტად ჭარბობდა „დამსაქმებლებს ურჩევნიათ, არ დაასაქმონ ისინი“ (39%) და „აწყდებიან კარიერული წინსვლის პრობლემებს“ (19%). თვისებრივი მონაცემების შეგროვების პროცესში, საჯარო ობიექტებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა რესპონდენტთა 13%-ის მიერ. ამასთან, აღნიშნული თემა უკავშირდება დასაქმებას, რადგან შშმ პირები აწყდებიან მობილურობისა და სამუშაო ადგილის ხელმისაწვდომობის პრობლემებს.

რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ შშმ პირები საქართველოში სხვადასხვა პრობლემას აწყდებიან. უმეტესად, ეს პრობლემები დასაქმებას უკავშირდება - კერძოდ, პასუხებს შორის ყველაზე მეტად ჭარბობდა „დამსაქმებლებს ურჩევნიათ, არ დაასაქმონ ისინი“ (39%) და „აწყდებიან კარიერული წინსვლის პრობლემებს“ (19%).

გამოსახულება 16: პრობლემები, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია შშმ პირებისთვის



რაც შეეხება ქალებს, მოსახლეობის ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ ქალები საქართველოში რაიმე კონკრეტულ პრობლემებს არ აწყდებიან (34%), ხოლო 12%-მა არ იცის, ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ქალებისთვის. მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელმაც კითხვაზე პასუხად კონკრეტული პრობლემა დაასახელა, ყველაზე ხშირად მიუთითა ოჯახში ძალადობა (34%). ასევე ხშირად დასახელდა სექსუალური შევიწროება (18%) და დამსაქმებლის პრიორიტეტები ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესში (11%).

გამოსახულება 17: მოსახლეობის მოსაზრება ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ



ქალებისა და მამაკაცების მოსაზრება იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც საქართველოში ქალები აწყდებიან, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, მამაკაცების 41% აცხადებს, რომ ქალები პრობლემებს არ აწყდებიან. ამ მოსაზრებას გაცილებით ნაკლები ქალი (28%) ეთანხმება. ქალები ყველაზე ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ოჯახში ძალადობასა (40%) და სექსუალურ შევიწროებაზე (23%).

ქალებისა და მამაკაცების მოსაზრება იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც საქართველოში ქალები აწყდებიან, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, მამაკაცების 41% აცხადებს, რომ ქალები პრობლემებს არ აწყდებიან. ამ მოსაზრებას გაცილებით ნაკლები ქალი (28%) ეთანხმება. ქალები ყველაზე ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ოჯახში ძალადობასა (40%) და სექსუალურ შევიწროებაზე (23%).

გამოსახულება 18: განსხვავებული სქესის ადამიანების მოსაზრება ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ



ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებით დასმულ იმავე კითხვაზე საკმაოდ განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა. კერძოდ, საქართველოში მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ლგბტ ადამიანები ხშირად ხდებიან სიძულვილის ენისა (28%) და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის (20%) მსხვერპლები. მათ პრობლემები აქვთ ასევე შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ვინაიდან დამსაქმებლებს ურჩევნიათ, ლგბტ ადამიანები არ დაასაქმონ (19%).

საქართველოში მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ლგბტ ადამიანები ხშირად ხდებიან სიძულვილის ენისა (28%) და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის (20%) მსხვერპლები. მათ პრობლემები აქვთ ასევე შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ვინაიდან დამსაქმებლებს ურჩევნიათ, ლგბტ ადამიანები არ დაასაქმონ (19%).

გამოსახულება 19: მოსახლეობის მოსაზრება ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ



ზემოაღნიშნული მონაცემები და ანალიზი რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. პირველ რიგში, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უმცირესობები, განსაკუთრებით კი, რელიგიური უმცირესობები და ქალები რაიმე მნიშვნელოვან პრობლემებს არ აწყდებიან, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ინფორმირებულობის დაბალ დონეზე მიუთითებს. მეორე, იმ ჯგუფის წევრები, რომლებსაც დასმული კითხვა ეხება, გაცილებით იშვიათად პასუხობენ - „არ ვიცი“ ან „არ აქვთ პრობლემები“, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის წევრები არ არიან. ამ მხრივ, ერთადერთ გამონაკლისს მუსლიმები წარმოადგენენ - რელიგიური უმცირესობების პრობლემების შესახებ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნათელია, რომ უმრავლესობის ჯგუფებს ხშირად არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა იმ პრობლემების თაობაზე, რომლებსაც უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენელი თანამოქალაქეები აწყდებიან. მესამე, ადამიანებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ ლგბტ ადამიანებისა და რელიგიური უმცირესობების პრობლემებზე, კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მათთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია, ვიდრე სხვა ჯგუფებისთვის.

> ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უმცირესობები, განსაკუთრებით კი, რელიგიური უმცირესობები და ქალები რაიმე მნიშვნელოვან პრობლემებს არ აწყდებიან

სიძულვილის ენის აღქმა

> უმრავლესობა (45%) ფიქრობს, რომ სიძულვილის ენა მნიშვნელოვანი პრობლემაა.

იმის დასადგენად, მოსახლეობის აზრით, საქართველოში ყველაზე მეტად რომელ ჯგუფებზე ახდენს გავლენას სიძულვილის ენა, რესპონდენტების მიმართ რამდენიმე კითხვა დაისვა, კერძოდ: საქართველოში რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად, რამდენად ხშირად ან იშვიათად გამოიყენება სიძულვილის ენა საქართველოში კონკრეტული ჯგუფების მიმართ, რამდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა სიძულვილის ენა საქართველოში. უმრავლესობა (45%) ფიქრობს, რომ სიძულვილის ენა მნიშვნელოვანი პრობლემაა. უფროსი ასაკის ადამიანები (36+) და თბილისის გარეთ არსებულ ურბანულ ტერიტორიებზე მცხოვრებნი ყველაზე ნაკლებად აღიქვამენ სიძულვილის ენას პრობლემად. ასევე, ეთნიკური უმცირესობების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სიძულვილის ენა პრობლემას წარმოადგენს.

> ვითხვაზე, თუ რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად, პასუხებს შორის ჭარბობდა ლგბტ ადამიანები.

კითხვაზე, თუ რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად, პასუხებს შორის ჭარბობდა ლგბტ ადამიანები. ასევე, გავრცელებული პასუხი იყო „არ მახსენდება არც ერთი“ და „არ ვიცი“. ეს მეტყველებს, რომ ადამიანები, ზოგადად, ინფორმირებულნი არიან ქვეყანაში ლგბტ ადამიანების პრობლემების შესახებ. თუმცა, ის ფაქტი, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, მოსახლეობის მესამედი აცხადებს - „არ ვიცი“ და „არ მახსენდება არც ერთი“, მიუთითებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ნაკლებობაზე.

გამოსახულება 20: თქვენი აზრით, საქართველოში რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად?

თქვენი აზრით, საქართველოში რომელი ჯგუფის მიმართ გამოიყენება სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად?



რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით - კერძოდ, რამდენად ხშირად ან იშვიათად გამოიყენება მათ მიმართ სიძულვილის ენა. შედეგები ზემოაღნიშნულის მსგავსია: ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ლგბტ ადამიანების მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენება ხშირად ან ზოგჯერ, უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ. ლგბტ ადამიანების შემდეგ დასახელდნენ რელიგიური უმცირესობები -

ჯგუფები, რომლებიც მიგრაციის შედეგად, ძირითადად, რეგიონებში ცხოვრობენ და ჯგუფები, რომლებიც ისტორიულად კავკასიის მაცხოვრებლებს წარმოადგენენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, საზოგადოების აზრით, ქალები სიძულვილის ენის ერთ-ერთ ძირითად სამიზნეს არ წარმოადგენენ. შედარებით ნაკლები ადამიანი მიიჩნევს, რომ სიძულვილის ენა ხშირად გამოიყენება შშმ პირების მიმართ. თვისებრივი ინტერვიუს დროს შშმ პირმა აღნიშნა: „სიძულვილის ენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მყარად ფესვგადგმული და დამკვიდრებული.“ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი შშმ პირებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით. თუმცა, ეს დასკვნა სიფრთხილით უნდა იყოს გამოყენებული, რადგან იგი მხოლოდ ერთი ადამიანის მოსაზრებას წარმოადგენს.

„სიძულვილის ენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მყარად ფესვგადგმული და დამკვიდრებული,“ შშმ პირმა აღნიშნა თვისებრივი ინტერვიუს დროს

გამოსახულება 21: მოსახლეობის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი ჯგუფების წინააღმდეგ გამოიყენება სიძულვილის ენა



სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღქმა

ზემოაღნიშნული კითხვები ასევე დაისვა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით. შედეგების მიხედვით, იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული პრობლემურად მიაჩნიათ (35%) ნაკლებია იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებიც სიძულვილის ენას ასეთად არ

აღიქვამს (45%). შედარებით უფროსი ასაკის (36+) და თბილისის გარეთ არსებულ ურბანულ დასახლებებში მცხოვრები ადამიანები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული პრობლემას წარმოადგენს, ქალები კი, ამ აზრს შედარებით მეტად ეთანხმებიან. ეთნიკური უმცირესობების გაცილებით ნაკლები წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. რელიგიური უმცირესობები მართლმადიდებელ ქართველებზე მეტად ან ნაკლებად არ ფიქრობენ, რომ სიძულვილის ენა პრობლემურია. კითხვაზე, თუ რომელი ჯგუფის წარმომადგენლები ხდებიან საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები უფრო ხშირად, ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო „ლგბტ ადამიანები“, ლგბტ

> Ამ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული პრობლემურად მიაჩნიათ (35%) ნაკლებია იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებიც სიძულვილის ენას ასეთად არ აღიქვამს (45%).

ადამიანების შემდეგ კი - „არ მაფიქრდება“ ან „არ ვიცი“. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანები, ზოგადად, ინფორმირებულები არიან ქვეყანაში ლგბტ ადამიანების პრობლემების შესახებ, თუმცა, „არ ვიცი“ და „არ მაფიქრდება“ პასუხების დიდი ოდენობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერების დაბალ დონეზე მეტყველებს.

> ვითხვაზე, თუ რომელი ჯგუფის წარმომადგენლები ხდებიან საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები უფრო ხშირად, ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო „ლგბტ ადამიანები“

გამოსახულება 22: ყველაზე ხშირად რომელი ჯგუფის წარმომადგენლები ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები საქართველოში?



რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით - კერძოდ, რამდენად ხშირად ან იშვიათად ხდებიან ისინი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები. შედეგები ზემოაღნიშნულის მსგავსია: ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ლგბტ ადამიანები ხშირად ან სხვა ჯგუფებზე მეტად ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი.

ლგბტ ადამიანების შემდეგ დასახელდნენ რელიგიური უმცირესობები - ჯგუფები,

რომლებიც მიგრაციის შედეგად ძირითადად დასახლებულნი არიან რეგიონებში და ჯგუფები, რომლებიც ისტორიულად კავკასიის მაცხოვრებლებს წარმოადგენენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, საზოგადოების აზრით, ქალები უფრო ხშირად ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები, ვიდრე სიძულვილის ენის. აღნიშნული, სავარაუდოდ, განპირობებულია ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობის გახმაურებული ფაქტებით, რომლებსაც ბოლო წლებში ჰქონდა ადგილი, ასევე, იმ პრობლემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, რომლებსაც ქალები აწყდებიან.

გამოსახულება 23: მოსახლეობის აზრით, რამდენად ხშირად ხდება სხვადასხვა ჯგუფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი?



უმცირესობების მიმართ მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობა

ის, თუ საშუალოდ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენას, აისახება იმ გახმაურებული ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობის ზოგად დონეზე, სადაც დანაშაული მჭიდრო კავშირში იყო დაზარალებულის იდენტობასთან. რესპონდენტებს ვკითხეთ,

სმენიათ თუ არა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის შესახებ:

- 2014 წელს ტრანსგენდერი ქალი მოკლეს და დაწვეს საკუთარ ბინაში;
- 2014 წელს ქობულეთში ადამიანების ჯგუფმა მადრასას შესასვლელ კარზე ღორის თავი მიაჭედა;
- 2018 წელს მიგრანტების ჯგუფი, რომელიც თბილისის ერთ-ერთ უბანში ფეხბურთს თამაშობდა, მამაკაცების ჯგუფმა სტადიონიდან გაყარა;
- 2013 წელს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართულ აქციას მოჰყვა მასობრივი არეულობა.

საზოგადოების 21%-ს სმენია ოთხივე ინციდენტის შესახებ, 25%-ს სმენია - ოთხიდან სამი ინციდენტის შესახებ, 22%-ს - ორის შესახებ, 18%-ს - ერთის შესახებ, ხოლო 14%-მა განაცხადა, რომ არცერთი შემთხვევის შესახებ არ აქვს ინფორმაცია. მოსახლეობის 39%-ს სმენია ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის თაობაზე, 56%-ს - ქობულეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ, 64%-ს ფეხბურთის სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე, ხოლო 62%-ს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მომხდარ მასობრივ არეულობაზე. უფროსი ასაკის ადამიანები (66+), თბილისის გარეთ მაცხოვრებლები და ეთნიკური უმცირესობები ამ ინციდენტების შესახებ გაცილებით ნაკლებად არიან ინფორმირებულნი.

თითოეული ინციდენტის შესახებ ინფორმირებულობა ურთიერთკავშირშია იმასთან, თუ რამდენად აღიქვამს ადამიანი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენას საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემად. ამასთან, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული აქტივობები, შესაძლოა, საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის პრევალენტობისკენ მიმავალ ეფექტურ გზას წარმოადგენდეს. იმავდროულად, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, ვინაიდან იმ ტიპის ადამიანები, რომლებიც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად არიან ინფორმირებულნი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე წარმოადგენენ იმ ტიპის ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა პრობლემაა. შესაძლებელია, სწორედ ინფორმირებულობა იწვევს ტოლერანტობას და არა - პირიქით, ვინაიდან შედარებით ტოლერანტული ადამიანები მეტ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული ტიპის მოვლენებს და, შესაბამისად, ისინი უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი. სავარაუდოდ, მოქმედებს აღნიშნული ორი პროცესის გარკვეული კომბინაცია. გარდა ამისა, იმ ფოკუსჯგუფების შედეგებზე დაყრდნობით, სადაც განიხილებოდა გზავნილები ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებით, გამოიკვეთა, რომ, ნაწილობრივ მაინც, ადამიანები ლგბტ თემის წარმომადგენლებს ადანაშაულებენ 2013 წლის 17 მაისის მოვლენებში. ფოკუსჯგუფის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ უმცირესობებმა უმრავლესობა არ უნდა შეაწუხონ, ამასთან, განსაკუთრებით შეურაცხმყოფელად აღიქვამდნენ რელიგიური დაწესებულებების სიახლოვეს საპროტესტო აქციის გამართვას. ცნობიერების ამაღლების აქტივობებს იმ ადამიანებზე, რომლებიც აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებიან, შესაძლოა, კონტრპროდუქტიული შედეგი ჰქონდეს. შესაბამისად, საჭიროა სიფრთხილე.

იმ პირების მიმართ, რომლებსაც ინციდენტების შესახებ სმენიათ, დაისვა კითხვა, მიიჩნევდნენ თუ არა, რომ აღნიშნული შემთხვევები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს წარმოადგენდა. მათი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჩამოთვლილი ინციდენტები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ფეხბურთის სტადიონზე მომხდარი შემთხვევა, რომლის შესახებაც გამოკითხულთა აზრი გაიყო.

გამოსახულება 24: ინფორმირებულობის დონე უმცირესობის ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით



როდესაც საქმე ეხება დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბების შესახებ ინფორმირებულობას, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. ზოგადად, ადამიანები ფიქრობენ, რომ ლგბტ თემი ყველაზე დიდი რისკის ქვეშ იმყოფება. ზემოაღნიშნული საკითხის კონტექსტში, კონკრეტული ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად ხშირად ხდება მოცემული ჯგუფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი. რაც უფრო ნაკლებად სიმპათიით არის განწყობილი ადამიანი კონკრეტული ჯგუფის მიმართ, მით უფრო მეტად ფიქრობს, რომ ეს ჯგუფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ან სიძულვილის ენის მსხვერპლია. რაც შეეხება ინფორმირებულობას, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი კარგად არის ინფორმირებული იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მედიით ფართოდ გაშუქდა, ხოლო ექვსიდან ერთ ადამიანს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია აღნიშნული მოვლენების შესახებ. ადამიანები, რომლებიც ინფორმირებულნი არიან, უფრო მეტად ფიქრობენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. ზემოაღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული აქტივობები, შესაძლოა, წარმოადგენდეს საზოგადოების თვალში სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მნიშვნელობის გაზრდის ეფექტურ გზას.

როდესაც საქმე ეხება დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების მასშტაბების შესახებ ინფორმირებულობას, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. ზოგადად, ადამიანები ფიქრობენ, რომ ლგბტ თემი ყველაზე დიდი რისკის ქვეშ იმყოფება.

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობა

უმცირესობების დისკრიმინაციისგან დასაცავად საქართველოში სხვადასხვა კანონი მოქმედებს. 2014 წელს მიღებული იყო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ქმნის სამართლებრივ გარანტიებს ადამიანების გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სხვა ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაციისგან დასაცავად. იმავდროულად, საინტერესოა, თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება შესაბამისი კანონების შესახებ და, ზოგადად, რამდენად ემხრობიან ადამიანები ასეთ კანონმდებლობას.

დისკრიმინაცია

2014 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საქართველომ მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. კანონის მიღებას წინ უძღოდა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, განსაკუთრებით ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო ტალღისა, დღესდღეობით მის შესახებ შედარებით ნაკლები ადამიანია ინფორმირებული - კერძოდ, მოსახლეობის მხოლოდ 23%-მა განაცხადა, რომ ისინი აღნიშნულ კანონს იცნობენ. მოსახლეობის იმ ნაწილში, ვინც კანონს იცნობს, 35% დადებითად არის კანონის მიმართ განწყობილი, 38% - ნეიტრალურად, ხოლო უარყოფითი განწყობა აქვს უმცირესობას (14%).

ზოგადად, ადამიანები, რომლებიც კანონმდებლობას იცნობენ, მიიჩნევენ, რომ კანონმდებლობის მიღება მოხდა „ასოცირების შესახებ შეთანხმების" მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (75%). შედარებით ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით იყო მიღებული (67%).

ზოგადად, ადამიანები, რომლებიც კანონმდებლობას იცნობენ, მიიჩნევენ, რომ კანონმდებლობის მიღება მოხდა „ასოცირების შესახებ შეთანხმების" მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (75%). შედარებით ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით იყო მიღებული (67%). ისინი, ვინც იციან აღნიშნული კანონის თაობაზე, ზომიერად არიან ინფორმირებულნი მის შესახებ. კანონის შინაარსთან დაკავშირებით აღნიშნული რესპონდენტების მიმართ დაისვა ოთხი კითხვა:

- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, კანონიერია თუ არა ერთნაირ სქესიანთა ქორწინება? (არ არის კანონიერი);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა დამსაქმებლების მიერ ადამიანებისთვის დასაქმებაზე უარის თქმა მათი კანის ფერის გამო? (უკანონოა);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა დამსაქმებლების მიერ ადამიანებისთვის დასაქმებაზე უარის თქმა მათი სექსუალური იდენტობის გამო? (უკანონოა);

- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა მედიის მიერ რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის შემცველი მასალის გავრცელება? (უკანონოა).

პასუხები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. გამოკითხულთა 45%-მა ოთხივე კითხვას უპასუხა სწორად, 32%-მა - სამს, ხოლო 14%-მა - ორს. მხოლოდ 8%-მა ვერ გასცა სწორი პასუხი ვერც ერთ კითხვას, ან მხოლოდ ერთ კითხვას უპასუხა სწორად.

გამოსახულება 25: ცნობიერების დონე ანტიდისკრიმინაციული კანონის შინაარსის შესახებ



სიძულვილის ენა

რესპონდენტების მიმართ დაისვა რამდენიმე კითხვა სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ, კერძოდ - სიძულვილის ენა კანონიერია თუ არა, ან უნდა იყოს თუ არა კანონიერი. შედეგების მიხედვით, ზოგადად, მოსახლეობის ცნობიერების დონე სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ ზომიერად მაღალია, ხოლო მის მიმართ მხარდაჭერა - მტკიცე. დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ არაკანონიერია: მედიის მიერ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხალხს ეთნიკური ნიშნით ძალადობისკენ მოუწოდებს; ერთი რასის მეორეზე უპირატესობას ამართლებს; პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ არაკანონიერია: მედიის მიერ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხალხს ეთნიკური ნიშნით ძალადობისკენ მოუწოდებს; ერთი რასის მეორეზე უპირატესობას ამართლებს; პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

გამოსახულება 26: ცნობიერების დონე სხვადასხვა ფორმის სიძულვილის ენის კანონიერებასთან დაკავშირებით



იმავდროულად, მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სამივე ჩამოთვლილი ქმედება უნდა იკრძალებოდეს. რეალურად, კანონმდებლობა კრძალავს მედიის მიერ ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ხალხს ეთნიკური ნიშნით ძალადობისკენ მოუწოდებს ან ერთი რასის მეორეზე უპირატესობას ამართლებს, [11] ხოლო რაც შეეხება პოლიტიკოსებს, კანონმდებლობა მათ სიძულვილის ენის გამოყენებას უკრძალავს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში.[12]

რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, არსებობს თუ არა, ან უნდა არსებობდეს თუ არა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შეურაცხყოფისთვის, რომლის შინაარსიც რომელიმე უმცირესობის ჯგუფს უკავშირდება? უმეტესობამ განაცხადა, რომ აღნიშნული უკანონო ქმედებას წარმოადგენს, თუმცა, რესპონდენტთა მხოლოდ უმცირესობა მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედება უნდა იყოს უკანონო. ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს მონაწილეები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ადამიანები მსგავს პრობლემებს თავად უნდა უმკლავდებოდნენ. სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა, სავარაუდოდ, მიზეზი იმ შეუსაბამობისა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მედიისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების კრიმინალიზაციის მხარდაჭერის მაჩვენებელსა და, მეორე მხრივ, ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მაჩვენებელს შორის.

11 იხ. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ - https://matsne.gov.ge/en/document/download/32866/39/en/pdf

12 საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს ეკრძალებათ ისეთი ენის გამოყენება, რომელიც შეიცავს მოწოდებებს რელიგიურ ან ეთნიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით.

გამოსახულება 27: სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონე და ამ კანონმდებლობის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება





ამრიგად, ნათელია, რომ პოლიტიკოსებისა და მედიის მიმართ მოქმედი სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონმდებლობა ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. თუმცა, მხარდაჭერა ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების კრიმინალიზაციის მიმართ, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებია. ნებისმიერ შემთხვევაში, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონე შედარებით დაბალია.

 პოლიტიკოსებისა და მედიის მიმართ მოქმედი სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონმდებლობა ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. თუმცა, მხარდაჭერა ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების კრიმინალიზაციის მიმართ, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებია. ნებისმიერ შემთხვევაში, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონე შედარებით დაბალია.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

ადამიანები ფიქრობენ, რომ კანონმდებლობა უნდა ზღუდავდეს მედიისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას. თუმცა, როგორც მინიმუმ, ზემოაღნიშნული კითხვების კონტექსტში, რესპონდენტები შედარებით ნაკლებად ემხრობიან დამატებითი სასჯელის არსებობას დანაშაულისთვის, რომელიც მოტივირებულია უმცირესობის ჯგუფის მიმართ მტრული დამოკიდებულებით. მონაწილეებს ვკითხეთ, არსებობს თუ არა, ან უნდა არსებობდეს თუ არა, დამატებითი სასჯელი დანაშაულისთვის, რომლის მიზეზიც არის ის, რომ მსხვერპლი რომელიმე უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელია. რესპონდენტთა მხოლოდ 23%-მა აღნიშნა, რომ ასეთი სასჯელი არსებობს, ხოლო 30% მიემხრო დამატებითი სასჯელის არსებობას. მეორე მხრივ, გამოკითხულთა 41% ფიქრობს, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც დამატებით სასჯელს აწესებს, ხოლო 46%-ის მოსაზრებით, ასეთი კანონი არ უნდა არსებობდეს. იმავდროულად, ადამიანების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ არ იციან, არსებობს თუ არა (34%), ან უნდა არსებობდეს თუ არა (20%), დამატებითი სასჯელი მსგავსი დანაშაულებისთვის.

ადამიანების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ არ იციან, არსებობს თუ არა (34%), ან უნდა არსებობდეს თუ არა (20%), დამატებითი სასჯელი მსგავსი დანაშაულებისთვის.

გამოსახულება 28: დამოკიდებულება და ცნობიერების დონე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით საქართველოში

არსებობს თუ არა/უნდა არსებობდეს თუ არა საქართველოში დამატებითი სასჯელი დანაშაულისთვის, რომლის მიზეზიც ისაა, რომ მსხვერპლი რომელიმე უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელია (%)



ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ადამიანების ძირითადი ნაწილი არ იცნობს არსებულ კანონმდებლობას დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ. ამასთან, ადამიანები, ემხრობიან მედიისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესებას, თუმცა, ამავე დანაშაულისთვის ჩვეულებრივი მოქალაქეების დასჯის მიმართ მათ აქვთ ამბივალენტური დამოკიდებულება ან აღნიშნულს ეწინააღმდეგებიან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საზოგადოება მიემხროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისთვის დამატებითი სასჯელის დაწესებას. მოსახლეობის უაღრესად მცირე ნაწილი იცნობს კანონმდებლობას დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ისინი, ვინც ამ კანონს იცნობენ, კარგად არიან ინფორმირებულნი და მის მიმართ, ზოგადად, დადებითი განწყობა აქვთ.

ადამიანების ძირითადი ნაწილი არ იცნობს არსებულ კანონმდებლობას დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ.

სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები და მათი ეფექტურობა

საქართველოში სიძულვილის ენით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულით დაზარალებულებს ხელი მიუწვდებათ სამართლებრივი დაცვის არაერთ მექანიზმზე. იმავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია შესაბამისი დაწესებულებების შესახებ და მათ საჭიროების შემთხვევაში არ მიმართავენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მექანიზმებმა დაზარალებულების დაცვა შეძლოს. ამ დაწესებულებათა შესახებ ცნობიერების შესაფასებლად, რესპონდენტებს ვკითხეთ - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულით დაზარალების შემთხვევაში, **შეუძლიათ თუ არა, რომ მიმართონ,** ან **მიმართავდნენ თუ არა** შემდეგ დაწესებულებებს:

- სახალხო დამცველის ოფისი
- სასამართლო
- პოლიცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები

> ყველაზე ხშირად დასახელდა პოლიცია (62%), შემდეგ - სასამართლო (51%) და სახალხო დამცველის ოფისი (50%).

შედეგებზე დაყრდნობით, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა იცის, რომ მათ შეუძლიათ, მიმართონ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს. ამ კუთხით, ყველაზე ხშირად დასახელდა პოლიცია (62%), შემდეგ - სასამართლო (51%) და სახალხო დამცველის ოფისი (50%). ადამიანები, ზოგადად, ინფორმირებულნი არიან, რომ მათ შეუძლიათ, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს მიმართონ, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ამ დაწესებულებებს მიმართავენ. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა (49%) განაცხადა, რომ ისინი პოლიციას მიმართავდნენ, 28%-მა განაცხადა, რომ მიმართავდნენ სახალხო დამცველის ოფისს, ხოლო 27%-მა - სასამართლოს. მხოლოდ 11%-მა აღნიშნა, რომ ისინი არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართავდნენ. ბევრმა რესპონდენტმა არ იცის, თუ ვის მიმართავს (12%), ხოლო ათიდან 1-მა ადამიანმა განაცხადა (9%), რომ არავის მიმართავს. აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მიმართავდნენ მეგობრებს, მეზობლებს ან ოჯახის წევრებს, თითქმის მსგავსია იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებლისა, რომლებიც მიმართავდნენ გასაჩივრების სხვა ფორმალურ საშუალებას, გარდა პოლიციისა.[13]

13 რესპონდენტებს შეეძლოთ, მოენიშნათ მაქსიმუმ სამი სხვადასხვა დაწესებულება ან ჯგუფი, რომელსაც მიმართავდნენ. შესაბამისად, მარჯვენა პანელში მოცემული ციფრების ჯამი არ უდრის 100%-ს.

გამოსახულება 29: ცნობიერება სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ





რაც შეეხება სახალხო დამცველის ოფისისთვის მიმართვას დისკრიმინაციის შემთხვევებში, ამის შესახებ ცნობიერება შედარებით დაბალია უფროსი ასაკის ადამიანებში (65+), ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, ასევე, თბილისის გარეთ მცხოვრებ ადამიანებს შორის, განსხვავებით უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისგან. სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის შესახებ ცნობიერება შედარებით დაბალია რელიგიურ უმცირესობებსა და თბილისის გარეთ მცხოვრებ ადამიანებს შორის, განსხვავებით უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისგან. პოლიციისთვის მიმართვას რაც შეეხება, ამ შესაძლებლობის შესახებ ცნობიერება შედარებით დაბალია უფროსი ასაკის ადამიანებსა (65+) და თბილისის გარეთ არსებულ ურბანულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებს შორის. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისა და აზერბაიჯანელების ცნობიერების დონე შედარებით დაბალია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიმართვასთან დაკავშირებით, ხოლო ქალები ამის შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან.

არ გამოვლენილა რომელიმე კონკრეტული დემოგრაფიული ჯგუფი, რომელიც უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად აცხადებს, რომ ჩამოთვლილთაგან არცერთს არ მიმართავს. თუმცა, რამდენიმე ჯგუფი სხვებზე მეტად აღნიშნავს, რომ არ იცის, ვის მიმართავს. ეთნიკური ქართველები ეთნიკურ უმცირესობებზე ხშირად აცხადებენ, რომ მათ არ იციან, ვის მიმართავენ, ხოლო თბილისის გარეთ მაცხოვრებლები თბილისში მაცხოვრებლებზე გაცილებით ხშირად აცხადებენ, რომ მათ არ იციან, ვის მიმართავენ.

ამასთან, რესპონდენტებს ვკითხეთ, მიმართავდნენ თუ არა რომელიმე დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ სიძულვილის ენის გავრცელება ხდება მედიის მხრიდან. იმ რესპონდენტებს, რომლებიც რაიმე დაწესებულებას მიმართავდნენ, ვთხოვეთ, დაესახელებინათ, კონკრეტულად რომელ დაწესებულებას შეუძლიათ მიმართონ და რომელ დაწესებულებას მიმართავდნენ. რესპონდენტების 2/3-მა (66%) განაცხადა, რომ ისინი არცერთ დაწესებულებას არ მიმართავდნენ მედიის მიერ სიძულვილის ენის გავრცელების შემთხვევაში, ხოლო 15% არ იყო დარწმუნებული, მიმართავდა თუ არა რომელიმე დაწესებულებას. რესპონდენტების 20%-მა განაცხადა, რომ ისინი მიმართავდნენ რომელიმე დაწესებულებას, მათ შორის, 71% მიმართავდა სახალხო დამცველის ოფისს, 71% - პოლიციას, 62% - მაუწყებლის თვითმარეგულირებელ ორგანოს, 61% - სასამართლოს, ხოლო 49% - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. როგორც მოსალოდნელი იყო, იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაწესებულებას მიმართავდნენ, ყველაზე ხშირად პოლიცია (49%) დაასახელეს. პოლიციის შემდეგ დასახელდა სახალხო დამცველის ოფისი (35%) და სასამართლო (30%). რესპონდენტთა მხოლოდ 14% მიმართავდა მაუწყებლის თვითმარეგულირებელ ორგანოს, ხოლო 10% - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას.

გამოსახულება 30: ცნობიერების დონე მედიის მიერ სიძულვილის ენის გავრცელების შემთხვევაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ



იმ შემთხვევაში, თუ შეამჩნიეთ, რომ რომელიმე მედიასაშუალება ავრცელებს სიძულვილის ენას, რომელ ორგანოს/ვის შეატყობინებთ? (მათი %, ვინც რომელიმე ორგანოს/ვინმეს შეატობინებდა



ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ადამიანებმა იციან, ვის უნდა მიმართონ დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შემთხვევებში. თუმცა, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი არ მიმართავდნენ ან არ შეუძლიათ, რომ მიმართონ სახალხო დამცველის ოფისს, რომელიც მნიშვნელოვანი დაწესებულებაა დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით. რა არის ამის მიზეზი? ერთ-ერთი მიზეზია სახალხო დამცველის ოფისის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა. რესპონდენტებს სახალხო დამცველის ოფისის შესახებ ნებისმიერი კითხვის დასმამდე ვკითხეთ: „ოდესმე გსმენიათ სახალხო დამცველის ოფისის შესახებ საქართველოში?“ აღნიშნულ კითხვას დადებითი პასუხი მხოლოდ 53%-მა გასცა. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობები ამ კითხვას დადებით პასუხს სხვა რესპონდენტებზე გაცილებით ნაკლებად სცემდნენ. იმავდროულად, იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ სახალხო დამცველის ოფისის შესახებ იციან, მხოლოდ 2/3 (65%) ფიქრობს, რომ აღნიშნული დაწესებულება გარკვეულ როლს თამაშობს დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით სახალხო დამცველის ოფისის როლის შესახებ მხოლოდ საზოგადოების 35% არის ინფორმირებული. ომბუდსმენის აპარატის მიმართ ცნობიერების გაცილებით დაბალი დონე აღინიშნა ეთნიკურ უმცირესობებსა და სოფლად მცხოვრებ ადამიანებს შორის. იმ რესპონდენტებს, რომელთაც სახალხო დამცველის შესახებ სმენოდათ, ვკითხეთ, თუ რა როლი აქვს სახალხო დამცველის ოფისს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და უნდა ჰქონდეს თუ არა მას ეს როლი. რესპონდენტთა 2/3-მა განაცხადა, რომ სახალხო დამცველის ოფისს უფლება აქვს:

1. სასამართლოში საქმე აღძრას დისკრიმინაციის შემთხვევებზე (სახალხო დამცველს ასეთი უფლება არ აქვს);
2. ხელისუფლების სხვა ორგანოებს მიმართოს დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციებით (ასეთი უფლება აქვს);
3. იურიდიული დახმარება გაუწიოს მომჩივნებს სასამართლოში (ასეთი უფლება არ აქვს).

დასმულ კითხვებს სწორი პასუხი მხოლოდ მონაწილეების 5%-მა გასცა, ხოლო ¼-ის პასუხი იყო „არ ვიცი“. აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში სახალხო დამცველის ოფისის როლის შესახებ ცოდნის დონე არის დაბალი. თუმცა, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა ადამიანებს სწორი ინფორმაცია ომბუდსმენის აპარატზე, ისინი მხარს უჭერენ სახალხო დამცველის შესაძლებლობას, განახორციელოს ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები. ეს იმის მანიშნებელია, რომ საზოგადოება, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერდა ომბუდსმენის მანდატში იმ ზემოაღნიშნული ორი უფლების გათვალისწინების შესახებ წინადადებას, რომელიც ამჟამად სახალხო დამცველის ოფისს არ აქვს.

გამოსახულება 31: საქართველოში სახალხო დამცველის ოფისის როლის შესახებ ცოდნა და დამოკიდებულება


როგორია სახალხო დამცველის როლის შესახებ თქვენი ცოდნა და დამოკიდებულება? (%)
ხელისუფლების სხვა ორგანოებისათვის მიმართვა
ადამიანის ინფორმაციაზე ადვილად ხელმისაწვდომი
ადამიანებისგან რეკომენდაციების
სასამართლოში საქმის აღძვრა
ადამიანებისგან შემოხვევებზე
ადამიანებისათვის ღონისძიებების
ადმინისტრაციულ
ადამიანებისთვის
ადამიანებისთვის
ადამიანებისთვის

გამოსახულება 32: საიდან ისურვებდნენ ადამიანები მეტი ინფორმაციის მიღებას სახალხო დამცველის ოფისის შესახებ?



ზოგადად, საზოგადოება ზომიერად არის ინფორმირებული სამართლებრივი დაცვის არსებულ მექანიზმებზე. იმავდროულად, არაერთ, მათ შორის, ინფორმირებულ ადამიანს არ აქვს სურვილი, მიმართოს სამართლებრივი დაცვის რომელიმე მექანიზმს, გარდა პოლიციისა. საზოგადოების დაახლოებით ნახევარს სმენია სახალხო დამცველის ოფისის შესახებ, ხოლო დაახლოებით მესამედი ინფორმირებულია, რომ ომბუდსმენის მანდატი დისკრიმინაციასთან ბრძოლას ითვალისწინებს. თუმცა, ადამიანებს სახალხო დამცველის ოფისის შესახებ სხვა სპეციფიკური ცოდნა არ გააჩნიათ.

ზოგადად, საზოგადოება ზომიერად არის ინფორმირებული სამართლებრივი დაცვის არსებულ მექანიზმებზე. იმავდროულად, არაერთ, მათ შორის, ინფორმირებულ ადამიანს არ აქვს სურვილი, მიმართოს სამართლებრივი დაცვის რომელიმე მექანიზმს, გარდა პოლიციისა.

დისკრიმინაციასთან ბრძოლაში ჩართული აქტორების მიმართ დამოკიდებულება

საქართველოში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ვითარების გასაუმჯობესებლად საჭიროა მოქმედება. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანონმდებლობა, თუმცა, იმავდროულად, აუცილებელია სოციალური ცვლილებებიც, რისი მიღწევაც სოციალური კამპანიებით არის შესაძლებელი. ამასთან, კანონმდებლობა ვერ იქნება ეფექტური იმ ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების უნდობლობის პირობებში, რომელთაც კანონმდებლობის აღსრულება აბარიათ. ამრიგად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი აქტორების მიმართ აქვს მოსახლეობას ნდობა, შესაბამისად, ვინ შეძლებს ყველაზე ეფექტურად სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო გზავნილების საზოგადოებამდე მიტანას.

ამ მიზნით, რესპონდენტებს ჩამოვუთვალეთ 13 სხვადასხვა აქტორი და ვკითხეთ, რამდენად ენდობიან მათ და როგორ შეაფასებდნენ დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით მათ მიერ გაწეული მუშაობის ეფექტურობას. შედეგების მიხედვით, ჩამოთვლილი აქტორებიდან რესპონდენტები ყველაზე მეტად ენდობიან პოლიციას, იუსტიციის სამინისტროს, ევროკავშირს, სახალხო დამცველის ოფისსა და კერძო ადვოკატებს. შედარებით ნაკლები ადამიანი ენდობა ევროპის საბჭოს რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ ევროპის საბჭოს შესახებ დასმულ კითხვაზე რესპონდენტები ყველაზე ხშირად პასუხობდნენ - „არ მსმენია ამ ინსტიტუტის შესახებ“. რესპონდენტებმა, ასევე, ნდობა გამოხატეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო იურიდიული სამსახურის მიმართ. ყველაზე ნაკლებად ადამიანები ენდობიან პროკურატურას, სასამართლო სისტემას და პარლამენტს.

გამოსახულება 33: ნდობა ინსტიტუტების მიმართ



ზოგადად, ჩამოთვლილ ინსტიტუტებს სხვა რესპონდენტებზე მეტად ენდობიან თბილისის გარეთ მცხოვრები ადამიანები, უმაღლესი განათლების მქონე პირები და ეთნიკური აზერბაიჯანელები. სახალხო დამცველის მიმართ მაღალი ნდობა აქვთ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და რელიგიურ უმცირესობებს. ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან შედარებით, ეთნიკური სომხები გაცილებით ნაკლებად ენდობიან სახალხო დამცველის ოფისს. ეთნიკური აზერბაიჯანელები და უმაღლესი განათლების მქონე პირები ყველაზე მეტად ენდობიან ევროპის საბჭოს.

რაც შეეხება ინსტიტუტების მუშაობას, საზოგადოებას აღნიშნულთან დაკავშირებით ბოლომდე ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს - კერძოდ, რესპონდენტთა 13%-20%-მა განაცხადა, რომ მათ არ იციან, თუ რამდენად კარგად მუშაობენ ინსტიტუტები. ზოგადად, ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ევროკავშირის, სახალხო დამცველის ოფისის, პოლიციისა და ევროპის საბჭოს მუშაობამ. სხვებთან შედარებით, დაბალი შეფასებები დაიმსახურეს პარლამენტმა, სასამართლო სისტემამ და პროკურატურამ. ეთნიკური აზერბაიჯანელები, სოფლად მცხოვრები ადამიანები და უმაღლესი განათლების მქონე პირები ინსტიტუტების მუშაობას აფასებენ უფრო დადებითად, ვიდრე სხვა ჯგუფები. სახალხო დამცველის ოფისის მუშაობის შეფასება ეთნიკური აზერბაიჯანელების მიერ არის საშუალოზე მაღალი, ხოლო ეთნიკური სომხების მიერ - საშუალოზე დაბალი. სხვა დემოგრაფიული პრედიქტორები რაიმე მკაფიო განსხვავებებს არ ქმნის.

გამოსახულება 34: ინსტიტუტების მუშაობა დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით

როგორ შეაფასებდით [ინსტიტუტის] მუშაობას დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით?(%)

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, პოლიცია საზოგადოების ნდობით სარგებლობს და მიიჩნევა, რომ ის მაღალ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობებს, თვისებრივი მონაცემების მოსაპოვებლად ჩატარებული ზოგიერთი ინტერვიუს დროს გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა. ბოშათა საკითხების ექსპერტმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბოშების თემს პოლიციის მიმართ ნაკლები ნდობა აქვს, რის გამოც, ისინი საჭიროების შემთხვევაში პოლიციას არ მიმართავენ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას რესპონდენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ზოგიერთი ლგბტ ადამიანის, განსაკუთრებით, ტრანსგენდერთა იმ პრეტენზიების ლეგიტიმურობა, რომლებიც მათ წინააღმდეგ დისკრიმინაციას ან დანაშაულის ჩადენას უკავშირდება. თავად ლგბტ ადამიანებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ხშირად სერიოზულად არ ეკიდებიან მათ საჩივრებს შევიწროებასთან დაკავშირებით.

ყველაზე ნაკლებ ნდობას იმსახურებს პროკურატურა და მიიჩნევა, რომ ის მაღალ დონეზე ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს. მიუხედავად ამისა, პროკურორებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი, ერთი შეხედვით, კარგად არიან ინფორმირებულნი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის შესახებ, იმავდროულად, აცნობიერებენ, რომ პროკურატურის მიმართ ნდობა შედარებით ნაკლებია, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ადამიანების მხრიდან. პროკურორები აღნიშნავდნენ, რომ, პოლიციისა და პროკურორების მიმართ ნდობის ნაკლებობის გამო, ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ ატყობინებენ ან გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პროკურორებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის ხელშეწყობისკენ მიმართული აქტივობები დადებით შედეგს გამოიღებს.

გარდა იმისა, რომ კვლევა აჩვენებს დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მიმართ განწყობების არსებულ სურათს, იგი ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული კამპანიის - „არა სიძულვილს“ - შესახებ საბაზისო მონაცემების მოპოვებასაც ისახავს მიზნად. კვლევის თანახმად, საზოგადოების 27%-ს სმენია კამპანიაზე „არა სიძულვილს“. შედეგების რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები შედარებით უკეთ იცნობენ აღნიშნულ კამპანიას, ვიდრე სხვა ჯგუფები. ადამიანები, რომლებსაც კამპანიის შესახებ სმენიათ, უფრო მეტად არიან ტოლერანტობისკენ მიდრეკილები, რაც წინამდებარე ანგარიშში განხილული ინდექსების საშუალებით გაიზომა.

ზემოაღნიშნული მონაცემები და ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპის საბჭო და სახალხო დამცველის აპარატი ზომიერი ნდობით სარგებლობენ და მიიჩნევა, რომ დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით, ისინი სხვა დაწესებულებებზე უფრო ეფექტურად მუშაობენ. ეს მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული აქტივობების განსახორციელებლად სახალხო დამცველის ოფისი და ევროპის საბჭო ყველაზე შესაფერის აქტორებს წარმოადგენენ. იმავდროულად, უფრო ნაკლებია ნდობა სასამართლოებისა და პროკურატურის მიმართ და მიიჩნევა, რომ, სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, ისინი სათანადოდ ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა გააააქტიურონ ნდობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები, განსაკუთრებით კი, დისკრიმინაციასთან ბრძოლის ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია მაღალი ნდობით სარგებლობს, კვლავ რჩება გარკვეული პრობლემური საკითხები, ერთი მხრივ, პოლიციასა და, მეორე მხრივ, ბოშებსა და ლგბტ ადამიანებს შორის ნდობასთან დაკავშირებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული მიგნებები გარკვეული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა იმ აქტორებისთვის, რომლებიც დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის აღკვეთის კუთხით მუშაობენ.

კვლევის შედეგების თანახმად, როგორც ქალ, ისე მამაკაც რესპონდენტებს ზოგადი წარმოდგენა აქვთ ქართულ საზოგადოებაში უმცირესობის შედარებით დიდი ზომის ჯგუფების არსებობაზე (მაგალითად, სომხები და აზერბაიჯანელები). თუმცა, კითხვაზე - „დაასახელეთ უმცირესობის ჯგუფი, რომელიც პირველი გახსენდებათ“, რესპონდენტთა 37%-მა უპასუხა - „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება“. ამასთან, კვლევის მონაწილეთა 27%-მა განაცხადა, რომ მათ არაფერი სმენიათ ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ჯგუფის, ავარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ათასობით წარმომადგენელი ცხოვრობს საქართველოში. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია აქვს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის პატარა ჯგუფებთან დაკავშირებით.

რესპონდენტთა მცირე უმრავლესობა (56%) ფიქრობს, რომ მრავალფეროვნება ქვეყნისათვის დადებითი მოვლენაა, თუმცა, ნაკლებად პოზიტიურია დამოკიდებულება რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ შემთხვევაში მრავალფეროვნების მომხრეთა მაჩვენებელი 46%-ს უტოლდება. კითხვაზე, თუ რატომ არის მრავალფეროვნება პოზიტიური ან ნეგატიური, ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მრავალფეროვნება ქვეყანაზე უარყოფითად აისახება, ზოგადად, აცხადებენ, რომ იგი „კულტურასა და ტრადიციებს უქმნის საფრთხეს“. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პოზიტიურია მრავალფეროვნება, ქალებს, ეთნიკურ ქართველებს და ეთნიკურ სომხებს უფრო მეტად ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი მოსაზრება აქვთ.

უმცირესობებს შორის ყველაზე პოზიტიური განწყობა არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. შედარებით ნეგატიურია დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების, ევროპის გარეთ ქვეყნებიდან მიგრანტების და ლგბტ თემის მიმართ. ხუთი ადამიანიდან მხოლოდ 1 უჭერს მხარს ჰომოსექსუალთან საქმიან ურთიერთობას. კავკასიის რეგიონიდან მიგრანტი ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული დამოკიდებულება ხვდება შშმ პირების მიმართ დადებით განწყობასა და ლგბტ ადამიანების მიმართ შედარებით უარყოფით განწყობას შორის.

ზოგადად, უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ ადამიანების განწყობის შესაბამისია აღქმა იმისა, თუ უფრო მეტად ვინ შეიძლება გახდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლები ყველაზე ხშირად ლგბტ ადამიანები არიან. ლგბტ თემის შემდეგ, ასევე მაღალი რისკის ქვეშ დგანან იეჰოვას მოწმეები და მიგრანტები ევროპის გარეთ ქვეყნებიდან. ამ ჯგუფებს მოსდევს ეთნიკური უმცირესობები კავკასიის რეგიონიდან და, ბოლოს, შშმ პირები.

ზოგადად, უმრავლესობის ჯგუფების მიერ უმცირესობათა პრობლემების აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება უმცირესობების აღქმისგან იმ პრობლემებთან დაკავშირებით,რომლებსაცისინიაწყდებიან.მუსლიმებსა(17%)დაარამართლმადიდებელ ქრისტიანებთან შედარებით, ორჯერ მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი (44%) მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობები პრობლემებს არ აწყდებიან (20%). ასევე, მამაკაცი რესპონდენტების 41%-ის აზრით, ქალები პრობლემებს არ აწყდებიან, თუმცა, ამ მოსაზრებას ქალი რესპონდენტების მხოლოდ 28% ეთანხმება. აღნიშნული მიუთითებს,

რომ უმრავლესობის ჯგუფებს ხშირად არ აქვთ საკმარისად ნათელი წარმოდგენა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ თანამოქალაქეებს აწუხებთ. ეთნიკურ სომხებსა (10%) და ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე (12%) სამჯერ მეტი ეთნიკური ქართველი (29%) მიიჩნევს, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოში პრობლემებს არ უჩივიან. შესაბამისად, ცხადია, რომ უმრავლესობის ჯგუფებს უმცირესობების გამოწვევებზე არ აქვთ საკმარისი წარმოდგენა.

ქვეყანაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს პრობლემად მიიჩნევს, დაახლოებით, სამიდან ერთი ადამიანი, ხოლო სიძულვილის ენას - ორიდან ერთი. უფროსი ასაკის ადამიანები (36+) და ადამიანები, რომლებიც თბილისის გარეთ არსებულ ურბანულ დასახლებებში ცხოვრობენ, შედარებით ნაკლებად მიიჩნევენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში პრობლემურია. ქალები სხვებზე მეტად ფიქრობენ, რომ ქვეყანაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრობლემა არსებობს.

უმცირესობების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული ფართომასშტაბიანი ინციდენტების შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი არის საშუალო. სამიდან ორ ადამიანს ჰქონდა ინფორმაცია 2018 წელს თბილისში მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომლის დროსაც მიგრანტთა ჯგუფი ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს. დაახლოებით იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს IDAHO-სთან დაკავშირებით მომხდარ არეულობასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნახევარს (56%) სმენია 2014 წელს ქობულეთში მომხდარი შემთხვევის შესახებ, როდესაც ადგილობრივებმა მადრასას კარზე ღორის თავი მიაჭედეს, ხოლო 39%-მა იცოდა, რომ 2014 წელს ტრანსგენდერი ქალი მოკლეს და საკუთარ ბინაში დაწვეს. საზოგადოების იმ ნაწილის უმრავლესობას, რომელსაც აღნიშნული ინციდენტების შესახებ აქვს ინფორმაცია, სჯერა, რომ ბოლო სამი ინციდენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულია, ხოლო 2018 წელს ფეხბურთის მოედანზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით რესპონდენტთა აზრი იყოფა.

საზოგადოებას აქვს ზოგადი წარმოდგენა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ, თუმცა, ისინი პოლიტიკური უფლებების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი. ჩამოთვლილი 14 უფლებიდან რესპონდენტები საშუალოდ 10 უფლებას აღიარებდნენ. 92% ცნობს უმცირესობების განათლების ხელმისაწვდომობის უფლებას, ხოლო 47% - მათ მიერ საპროტესტო აქციის გამართვის უფლებას. ზოგადად, გამოკითხვაში მონაწილე პირებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია უმცირესობების (თუმცა, არა ლგბტ ადამიანების) უფლებების დაცვა. იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, ნაკლებია იმ პირების რაოდენობაზე, ვინც ამ აზრს არ ეთანხმება. ზოგადად, უმცირესობების, უფრო კონკრეტულად კი, ლგბტ თემის უფლებების დაცვის მიმართ ქალების, სომეხი ეროვნების და სოფლად მცხოვრები რესპონდენტების დამოკიდებულება შედარებით ამბივალენტურია.

კვლევაში მონაწილე ადამიანები საშუალოდ ინფორმირებულნი არიან დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ არსებული ეროვნული კანონმდებლობის შესახებ. მაგალითად, საქართველოში ხუთიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იცნობს 2014 წელს მიღებულ კანონმდებლობას ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. მონაცემებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ადამიანები მხარს უჭერენ სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვას მედიის და პოლიტიკოსების მხრიდან. თუმცა, მათი აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა აწესებდეს კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩვეულებრივ მოქალაქეებზე.

რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის არსებულ მექანიზმებს, ზოგადად, მოსახლეობის ნახევარმა იცის, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ან სიძულვილის ენის მსხვერპლს შეუძლია, მიმართოს პოლიციას, სასამართლოს და სახალხო დამცველის

აპარატს. იმავდროულად, რეალურად, ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს აღნიშნულ ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ თავად გახდა დანაშაულის მსხვერპლი. ათიდან ერთი ადამიანი (9%) აცხადებს, რომ მათ წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში არც ერთ დაწესებულებას არ მიმართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, პოლიცია საზოგადოების ნდობით სარგებლობს და მიიჩნევა, რომ ის მაღალ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობებს, თვისებრივი მონაცემების მოსაპოვებლად ჩატარებული ზოგიერთი ინტერვიუს დროს გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა. ბოშათა საკითხების ექსპერტმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბოშების თემს პოლიციის მიმართ ნაკლები ნდობა აქვს, რის გამოც ისინი საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცველებს არ მიმართავენ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას რესპონდენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ზოგიერთი ლგბტ ადამიანის, განსაკუთრებით, ტრანსგენდერების იმ პრეტენზიების ლეგიტიმურობა, რომლებიც მათ წინააღმდეგ დისკრიმინაციის ან დანაშაულის ჩადენას უკავშირდება. ლგბტ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს კი ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ხშირად სერიოზულად არ ეკიდებიან მათ საჩივრებს შევიწროების თაობაზე.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ევროპის საბჭო და სახალხო დამცველის აპარატი მეტ-ნაკლებად ნდობით სარგებლობენ და მიიჩნევა, რომ დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით, ისინი სხვა დაწესებულებებზე უფრო ეფექტურად მუშაობენ. იმავდროულად, უფრო ნაკლებია ნდობა სასამართლოებისა და პროკურატურის მიმართ და ითვლება, რომ, სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, ისინი სათანადოდ ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს. საქართველოში დაახლოებით ოთხი ადამიანიდან ერთი ინფორმირებულია „არა სიძულვილს“ კამპანიის შესახებ. მათ უმეტესობას უმაღლესი განათლების ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხი აქვს.

აღნიშნული მიგნებები გარკვეული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა იმ აქტორებისთვის, რომლებიც დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის აღკვეთის კუთხით მუშაობენ.

პირველ რიგში, კვლევა ცხადყოფს, რომ რაც უფრო მეტად არიან ადამიანები ინფორმირებულნი უმცირესობების უფლებებსა და იმ ინციდენტებზე, რომლებიც ბევრს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად მიაჩნია, მით უფრო ტოლერანტულად არიან ისინი განწყობილნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერების ამაღლების აქტივობები, სავარაუდოდ, ტოლერანტობის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. თუმცა, აღნიშნულ მიგნებას სიფრთხილით მიდგომა სჭირდება, რადგან, ზოგადად, ადამიანებს, რომლებიც სხვებზე მეტად არიან ინფორმირებულნი, ტოლერანტობისკენ მეტი მიდრეკილება ახასიათებთ, ვიდრე ადამიანებს, რომელთაც აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო გულმოდგინებით განხორციელებული საკომუნიკაციო კამპანიები და ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული აქტივობები საზოგადოებაში ტოლერანტობის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ზემოაღნიშნულ ნაბიჯებს არაერთმა ადამიანმა გაუწია რეკომენდაცია თვისებრივი ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების დროს.

მეორე, **კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ინფორმირებულობის დონე ყველაზე მეტად მაღალია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. იმავდროულად, ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული განწყობები ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ არსებულზე უარესია.** ამრიგად, რეკომენდირებულია აღნიშნული შეუსაბამობის მიმართულებით მუშაობა და იმის ჩვენება, თუ რატომ არის ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი. ამასთან, ლგბტ ადამიანების შესახებ გზავნილი სიფრთხილით უნდა იყოს შემუშავებული. ფოკუსჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების

შედეგების თანახმად, ადამიანები მიიჩნევენ, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებს საკუთარი უფლებების დასაცავად საპროტესტო აქციების გამართვაში ფულს უხდიან, ხოლო საქართველოში ლგბტ პირთა უფლებების დღის წესრიგის უკან დასავლური ორგანიზაციები დგანან. ამრიგად, **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი აქტორების ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლგბტ უფლებების დაცვას ქართულ საზოგადოებას საგარეო აქტორები ახვევენ თავს.**

მესამე, ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებულ ტენდენციას - **იმას, რომ ადამიანები ლგბტ პირების მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი, თუმცა, იმავდროულად, აღიარებენ მათ მომეტებულ მოწყვლადობას** - უფრო ზოგადი სახე აქვს. კერძოდ, რაც უფრო უარყოფითია ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება, მით უფრო მეტად სჯერა ფართო საზოგადოებას, რომ ისინი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლები არიან. აღნიშნულის განზოგადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **უფრო მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს და, შესაბამისად, უფრო მეტი მხარდაჭერა გამოეცხადოს იმ ჯგუფებს, რომლებიც მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.** პირველ რიგში, ეს გულისხმობს ლგბტ თემს, შემდეგ - რელიგიურ უმცირესობებსა და მიგრანტებს. შშმ პირების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ გამოხატავს, თუმცა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ მათ სჯერათ, შშმ პირები არ არიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები. აღნიშნული ნათელს ხდის იმ პრობლემების წინ წამოწევის აუცილებლობას, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან.

მეოთხე, **ადამიანები ყველაზე ნაკლებად პოლიტიკური უფლებების შესახებ არიან ინფორმირებულნი.** საზოგადოების მხოლოდ 47% მიიჩნევს, რომ უმცირესობებს საპროტესტო აქციების გამართვის უფლება აქვთ, ხოლო თანამდებობაზე მათი არჩევის უფლებას მხოლოდ 53% აღიარებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ საჭიროა ცნობიერების ამაღლება უმცირესობების პოლიტიკური უფლებების შესახებ.

მეხუთე, საზოგადოების დაახლოებით ნახევარს (53%) არ აქვს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის შესახებ და მხოლოდ 35%-სთვის არის ცნობილი, რომ აპარატის მანდატი მოიცავს დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლას. ნათელია, რომ **სახალხო დამცველის აპარატმა უნდა იმუშაოს აპარატისა და მისი დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მანდატის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით.**

მეექვსე, **მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ ადამიანები ეწინააღმდეგებიან პოლიტიკოსებისა და მედიასაშუალებების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას, თუმცა, იმავდროულად, მათი აზრები იყოფა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით.** აღნიშნული ცხადყოფს, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შედარებით ადვილი იქნება ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მედიასაშუალებებისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას კრძალავს. ამრიგად, რეკომენდირებულია, ყურადღება დაეთმოს უფრო ადვილად მიღწევად მიზანს - მედიასაშუალებებისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ კანონმდებლობის მიღებას. აღნიშნულის პარალელურად, უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით.

მეშვიდე, **წინამდებარე კვლევით მოცული საკითხების მიმართ ამბივალენტური და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი განწყობა, ყველაზე მეტად, დაფიქსირდა ქალების, ეთნიკური სომხების, თბილისის გარეთ მაცხოვრებლების და, ზოგ შემთხვევაში, ეთნიკური ქართველების მხრიდან,** რაც ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის კამპანიას ყველაზე მეტი გავლენა სწორედ მათზე ექნება. ამრიგად, რეკომენდირებულია აღნიშნულ ჯგუფებთან მუშაობა, რათა ძალისხმევა

კონცენტრირდეს იმ ადგილზე, სადაც ცვლილების განხორციელების მეტი შესაძლებლობა არსებობს. ეს უზრუნველყოფს კამპანიის წინააღმდეგ უარყოფითი რეაქციისა და, შესაბამისად, არატოლერანტული განწყობების გამყარების თავიდან აცილებას.

მერვე, ინტერვიუების დროს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, პოლიციასა და პროკურატურას, ხოლო მეორე მხრივ, ბოშებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის ნაკლებობა. ამრიგად, **სავარაუდოდ, პოზიტიურ შედეგს გამოიღებს სამართალდამცავებსა და ბოშების თემს და სამართალდამცავებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის გაზრდისკენ მიმართული აქტივობა.**